

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი

*საქართველოს ანტი-დოპინგური
წესები*

ვერსია 2

დაფუძნებულია 2009 წლის ანტი-დოპინგურ
კოდექსზე

დეკემბერი, 2008

სარჩევი

შესავალი	6
1 თავი 1 - წესების გამოყენება	8
2 თავი 2- ანტი-დოპინგური წესების დარღვევა	12
3 თავი 3 - დოპინგის დამტკიცება	15
4 თავი 4 - აკრძალული სია	16
5 თავი 5 - შემოწმება	21
6 თავი 6 - ნიმუშების ანალიზი	25
7 თავი 7 - შედეგების მართვა	26
8 თავი 8 - დისციპლინარული პროცედურები	40
9 თავი 9 - ინდივიდუალური შედეგების ავტომატური დისკვალიფიკაცია	46
10 თავი 10 - სანქციები ცალკეული პირებისათვის	47
11 თავი 11 - შედეგები გუნდებისათვის	56
12 თავი 12 - სანქციები ეროვნული სპორტული ფედერაციებისათვის	56
13 თავი 13 - საჩივრები	
14 თავი 14 - ანგარიში	65
15 თავი 15 - სასაღხოდ გაცხადება	67
16 თავი 16 - ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება	67
17 თავი 17 - დადგენილება შეზღუდვაზე	68
18 თავი 18 - შესწორებები და ინტერპრეტაცია	68
19 თავი 19 - ინფორმაცია და შენიშვნები	69
20 თავი 20 - შესავალი გადა და არსებული კანონი	70
განმარტებები	73

შესავალი

წინასიტყვაობა

2008 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ანტი-დოპინგურმა სააგენტომ (სეადს) დაამტკიცა მსოფლიოს ანტი-დოპინგური კოდექსი. ეს ანტი-დოპინგური კანონები მიღებულია და დანერგულია კოდექსის თანახმად საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) პასუხისმგებლობით და გამოყენებული იქნება მისი მუდმივი ბრძოლისათვის დოპინგის წინააღმდეგ.

ანტი-დოპინგური წესები, ისევე როგორც შეჯიბრის წესები წარმოადგენს მოქმედ სპორტულ წესებს რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობენ სპორტში. სპორტსმენები და დამხმარე პერსონალი ემორჩილებიან ამ წესებს, როგორც პირობებს მონაწილეთათვის. ანტი-დოპინგური წესები არ ექვემდებარება ან იზღუდება იმ სამართლებრივი სტანდარტების ან მოთხოვნების მიერ, რომლებიც მოქმედებს კრიმინლური დანაშაულის პროცესებზე ან დასაქმების საკითხებზე. კოდექსში ფორმულირებული და ამ ანტიდოპინგურ წესებში დადგენილი პოლიტიკა და მინიმალური სტანდარტები წარმოადგენს კონსესუსს სტეიკჰოლდერების ფართო სპექტრსა და სამართლიან სპორტს შორის და აღიარებული უნდა იყოს ყველა სასამართლო და საარბიტრაჟო ორგანოს მიერ.

კოდექსი განმარტავს საქართველოს ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს), როგორც:

მთავარ უფლებამოსილ იურიდიულ პირს (ორგანო) თითოეული ქვეყნის მიერ აღიარებულს, რომელიც იღებს და ანხორციელებს ანტიდოპინგის წესებს, ხელმძღვანელობს სინჯების აღებას, აკონტროლებს ტესტირების შედეგებს და ატარებს მოსმენებს ეროვნულ დონეზე. თუ დანიშნვა არ მოხდა კომპეტენტური აღმასრულებელი ორგანოს მიერ, უფლებამოსილი იურიდიული პირი უნდა იყოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მის მიერ დანიშნული პირი (ორგანო).

კოდექსის და საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) წესების განმარტება

ანტი-დოპინგური პროგრამები მიისწრაფვიან შეინარჩუნონ ის ღირებულებები, რაც დამახასიათებელია სპორტისათვის. ეს დამახასიათებელი ღირებულება სშირად მოიაზრება როგორც “სპორტული სული”; ეს არის ოლიმპიური მოძრაობის არსი; ეს არის როგორი პატიოსანი წესებით ვთამაშობთ; სპორტული სული ადამიანის სულის, სხეულისა და გონების გამარჯვებაა და ხასიათდება შემდეგი ღირებულებებით:

- ეთიკა, სამართლიანობა და პატიოსნება
- ჯანმრთელობა
- შესანიშნავი ოსტატობა
- ხასიათი და განათლება
- გართობა და სიხარული
- ურთიერთშეთანხმებული ქმედება
- ერთგულება და პასუხისმგებლობა
- წესების და კანონების დაცვა
- საკუთარი თავის და სხვა მონაწილეების პატივისცემა
- სიმამაცე
- ერთობა და სოლიდარობა

დოპინგი სრულიად ეწინააღმდეგება სპორტულ სულს.

ეროვნული ანტი-დოპინგური პროგრამა

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) დაარსდა სპორტული მედიცინის ფედერაციის, სპორტული ჟურნალისტიკის ფედერაციის და კერძო პირთა მიერ. როგორც საქართველოს დამოუკიდებელი ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს), მისი უფლებამოსილებები და მოვალეობები მდგომარეობს შემდეგ ში:

- დოპინგის კონტროლის დაგეგმვა, კოორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი და დაცვა;
- სხვა შესაბამის ეროვნულ და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციების წახალისება ერთობლივი ტესტირებისათვის;
- ანტი-დოპინგური გამოკვლევების ხელშეწყობა;
- ინფორმაციული და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

ამასთანავე საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) არის ცალკეული ორგანო, დამოუკიდებელი საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოსა და ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოსაგან.

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) წესები

ეს ანტი-დოპინგური წესები, ისევე როგორც შეჯიბრის წესები ადგენს სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის პირობებს. მონაწილეები ემორჩილებიან ამ წესებს, როგორც პირობებს სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. ანტიდოპინგის წესები არ არის გათვალისწინებული იმისათვის რომ დაექვემდებაროს ან შეიზღუდოს იმ სამართლებრივი სტანდარტების ან მოთხოვნების მიერ, რომლებიც მოქმედებს კრიმინალური დანაშაულის პროცესებზე ან დასაქმების საკითხებზე.

მასშტაბი

საქართველოს თითოეული ეროვნული ფედერაცია და ეროვნული ფედერაციის ღონისძიების თითოეული მონაწილე თავისი ქმედებით, ფედერაციის წევრის

ღირსებით, ჩატარებული ღონისძიებებით უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს ანტიდოპინგურ წესებს.

თითოეული პირი, ვინც არ არის საქართველოს ეროვნული ფედერაციის წევრი და აკმაყოფილებს მოთხოვნებს რომ იყოს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს სარეგისტრაციო ტესტირების სიაში უნდა გახდეს დამოუკიდებელ პირთა ეროვნული ფედერაციის წევრი და გაიაროს ტესტირება 12 თვით ადრე საერთაშორისო ან ეროვნული ფედერაციის მიერ ჩატარებულ შეჯიბრში მონაწილეობის მიღებამდე.

ეს ანტი-დოპინგური წესები ვრცელდება ყველა ჩატარებულ დოპინგის კონტროლზე, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) იურისდიქციის ფარგლებში.

1 თავი 1 წესების გამოყენება

1.1 ეროვნული სპორტული ფედერაციები

1.1.1 ეროვნული სპორტული ფედერაციები ეთანხმებიან ამ ანტიდოპინგურ წესებს, შეაქვთ უცვლელად ან მოდიფიცირებული თავიანთ ძირითად დოკუმენტებში, კონსტიტუციაში ან წესებში როგორც დადგენილი სპორტული წესების ნაწილი, მოვალეობები და უფლებები, რომლებსაც ემორჩილებიან მათი წევრები და მონაწილეები.

1.1.2 ამ ანტი-დოპინგური წესების გამოყენება მონაწილეების მიერ ემყარება წევრების მოვალეობებს, რომლებიც ჩადებულია ხელშეკრულებაში ეროვნულ სპორტულ ფედერაციებსა და მათ წევრებს ან მონაწილეებს შორის, ეს არის პირობა მონაწილეობაზე სპორტული წესების დაცვით.

1.1.3 პირობა იმისა რომ მიიღონ ფინანსური ან სხვა სახის დახმარება საქართველოს მთავრობისა ან ანტიდოპინგის სააგენტოსგან, არის ის რომ ეროვნული ფედერაციები უნდა ეთანხმებოდნენ და მოქმედებდნენ საქართველოს ანტი-დოპინგური პროგრამის პირობების და ამ ანტი-დოპინგური წესების თანახმად, ასევე იყენებდნენ სანქციებს ცალკეული პირების მიმართ, პატივს სცემდნენ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) *ავტორიტეტს* და ითანამშრომლონ

მასთან და საარბიტრაჟო ორგანოებთან ანტიდოპინგის იმ სკითხთან დაკავშირებით, რომელსაც არ იცავს შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია კოდექსის თანახმად.

1.1.4 ანტი-დოპინგური წესების მიღებით და მისი შეტანით მოქმედ დოკუმენტებში ეროვნული სპორტული ფედერაციები, ასევე მისი წევრები და მონაწილეები აღიარებენ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას საქართველოს ანტი-დოპინგური პროგრამის განხორციელებაში და უფლებას აძლევენ მას ჩაატაროს დოპინგის კონტროლი.

საერთაშორისო ფედერაცია და საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას კოდექსის შესაბამისად.

1.1.5 ანტი-დოპინგური წესების მიღებით და მისი შეტანით მოქმედ დოკუმენტებში ეროვნული სპორტული ფედერაციები, მათი წევრები და მონაწილეები ოფიციალურად ექვემდებარებიან მის იურისდიქციას, კონტროლს, მის მოქმედ დოკუმენტებსა და ანტიდოპინგურ წესებს. ისინი თანხმდებიან დაემორჩილონ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებს, კერძოდ საქართველოს ანტიდოპინგურ დისციპლინარულ საბჭოს, საქართველოს ანტიდოპინგურ სააპელაციო საბჭოს. შესაბამისად მათი საერთაშორისო ფედერაციები, წევრები და მონაწილეები აღიარებენ და ეთანხმებიან გადაწყვეტილებას გასაჩივრების უფლებით ამ წესების თანახმად.

12 წესების გავრცელება ცალკეულ პირებზე

1.2.1 საქართველოს ანტი-დოპინგური წესები ვრცელდება ყველა პირზე ვინც:

1.2.1.1 არის საქართველოს ეროვნული ფედერაციის წევრი, განურჩევლად იმისა თუ სად ცხოვრობს ან იმყოფება იგი;

1.2.1.2 არის საქართველოს ეროვნული ფედერაციის ფილიალის, კლუბის, გუნდის, ასსოციაციის ან ლიგის წევრი;

- 1.2.1.3 მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ფედერაციის ან მისი ფილიალის, კლუბის, ასოციაციის, გუნდის, ლიგის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში; და
- 1.2.1.4 მონაწილეობს ღონისძიებაში, რომელიც ორგანიზებულია ღონისძიებების ორგანიზატორი ეროვნული ორგანიზაციის, ან ეროვნული ლიგის მიერ, რომელიც არ შედის ეროვნული ფედერაციის შემადგენლობაში.
- 1.2.2 მონაწილეები უნდა ეთანხმებოდნენ, ემორჩილებოდნენ და ასრულებდნენ ამ ანტიდოპინგურ წესებს თავიანთი ქმედებით სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისას.
- 1.2.3 სპორტსმენის როლი და მოვალეობა:
 - 1.2.3.1 იცნობდეს და ასრულებდეს ყველა ანტიდოპინგურ წესს, რომელიც შემუშავებულია კოდექსის თანახმად;
 - 1.2.3.2 ხელმისაწვდომი იყოს ტესტირებისათვის;
 - 1.2.3.3 პასუხისმგებელი იყოს დოპინგთან მიმართებაში, თუ რას იღებს ან იყენებს; და
 - 1.2.3.4 შეატყობინოს სამედიცინო პერსონალს თავისი ვალდებულებების შესახებ არ გამოიყენოს აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები და იყოს პასუხისმგებელი რომ რაიმე სახის ჩატარებული მკურნალობა არ არღვევს კოდექსის შესაბამისად შემუშავებულ ანტიდოპინგის წესებს.
- 1.2.4 სპორტსმენთა დამხმარე პერსონალის როლი და მოვალეობები:
 - 1.2.4.1 იცნობდეს და ასრულებდეს ანტიდოპინგურ ყველა წესს, რომელიც შემუშავებულია კოდექსის თანახმად და ვრცელდება მათზე ან სპორტსმენებზე, რომელთაც ის ეხმარება;
 - 1.2.4.2 ითანამშრომლოს სპორტსმენთა ტესტირების პროგრამასთან; და
 - 1.2.4.3 გააღწეოს იქონიოს ანტიდოპინგზე სპორტსმენის შეხედულების შექმნაში.

1.2.5 თუ რომელიმე პიროვნება შემჩნეული იქნება ანტი-დოპინგური წესების დარღვევაში, მასზე გატარდება სანქციები ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად. პიროვნება, რომელიც სანქცირებული იქნება ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად აკრძალება მონაწილეობა მიუხედავად მისი რომელიმე ეროვნული ფედერაციის ან სპორტული ორგანიზაციის წევრობის სტატუსისა. ვიდრე პიროვნება სანქცირებულია იგი არ დაიშვება ღონისძიებებზე და ამ ხნის მანძილზე რჩება დოპინგის კონტროლის საგანი.

2 თავი 2 ანტი-დოპინგური წესების დარღვევა

დოპინგი განსაზღვრულია როგორც ერთი ან ორი ანტი-დოპინგური წესის დარღვევის აღმოჩენა, რომელიც ფორმულირებულია ამ ანტიდოპინგის წესების 2.1 - 2.8 პუნქტებში. (ანტიდოპინგის წესების დარღვევა) ანტი-დოპინგური წესების დარღვევად ითვლება:

2.1 აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა სპორტსმენის ორგანიზმში.

2.1.1 თითოეული სპორტსმენის ვალია, რომ მის ორგანიზმში არ მოხვდეს აკრძალული ნივთიერება. სპორტსმენი პასუხისმგებელია მის ორგანიზმში აღმოჩენილ რომელიმე აკრძალულ ნივთიერებაზე, მის მეტაბოლიტზე ან მარკერზე.

შესაბამისად არ არის აუცილებელი სპორტსმენის განმარტება-გააზრებულად გააკეთა, აღიარებს დანაშაულს თუ უარყოფს, ფაქტი ჩაითვლება ანტიდოპინგის წესების უარყოფად პუნქტი 2.1-ის შესაბამისად. გარდა იმ ნივთიერებებისა, რომელთა რაოდენობრივი ზღვრული ნორმა შეტანილია აკრძალული ნივთიერების სიაში, ორგანიზმში აღმოჩენილი რაიმე რაოდენობა აკრძალული ნივთიერებისა, მისი მეტაბოლიტისა ან მარკერისა ჩაითვლება ანტიდოპინგის წესების დარღვევად.

2.1.1 გამონაკლისად 2.1 პუნქტის ძირითადი წესიდან აკრძალულ სიაში შეიძლება შეტანილი იყოს კრიტერიუმები იმ აკრძალული ნივთიერების შესაფასებლად, რომელიც შესაძლებელია გამოემუშავდეს ენდოგენურად. .

2.2 აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა

- არ არის არსებითი გამოყენებულ იქნა აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი, თუ იყო მცდელობა. ორივე მიჩნეულია ანტი-დოპინგური წესების დარღვევად.

2.3 ტესტირებაზე უარი ან ტესტირების არ გაგლა საპატიო მტკიცებულების გარეშე, თავის არიდება გამოძახების შემდეგ, როგორც ეს ამ ანტიდოპინგის წესებით არის გათვალისწინებული.

2.4 არასაშეჯიბრო მოთხოვნათა დარღვევა და ადგილ-მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა, გამოტოვებული ტესტირება, როგორც ეს დადგენილია პუნქტში 5.4 (სპორტსმენის ადგილ-მდებარეობა)

2.5 დოპინგის კონტროლის მსვლელობაში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა

2.6 აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება:

2.6.1 სპორტსმენის მიერ, როდესმე ან სადმე აკრძალული ნივთიერების ფლობა ან მეთოდის გამოყენება შეჯიბრის გარეთ ტესტირებისას, თუ სპორტსმენი არ დაასაბუთებს რომ ფლობს მას *თერაპიული გამოყენებისათვის (TUE)* პუნქტი 4.4-ის შესაბამისად ან არ წარმოადგენს სხვა რაიმე მისაღებ მტკიცებულებას

2.6.2 *აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობა სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ სპორტსმენტან დაკავშირებით არასაშეჯიბრო ტესტირებისას, ღონისძიების ან გარჯიშის დროს, თუ დამხმარე პერსონალი არ დაასაბუთებს რომ ფლობს მას თერაპიული გამოყენებისათვის (TUE) პუნქტი 4.4-ის შესაბამისად ან წარმოადგენს სხვა რაიმე მისაღებ მტკიცებულებას*

2.7 ტრეფიკინგი

2.8 რომელიმე სპორტსმენის აკრძალული ნივთიერებებით ან მეთოდებით ადმინისტრირება ან მცდელობა, დახმარება, ხელშეწყობა, მონაწილეობა, დაფარვა ან მონაწილეობა სხვა სახის ანტი-დოპინგური წესების დარღვევაში ან მცდელობაში.

3 თავი 3 დოპინგის მტკიცებულება

3.1 მტკიცებულების ტვირთი და სტანდარტები

3.1.1 საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) ტვირთია დაადგინოს ანტიდოპინგის წესების დარღვევა.. მტკიცებულების სტანდარტი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა წარადგინოს მტკიცებულება ანტი-დოპინგური წესის დარღვევაზე მოსმენითი ორგანოს დასაკმაყოფილებლად მისი სერიოზულობის გათვალისწინებით. ეს სტანდარტული მტკიცებულება უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ალბათობა და ნაკლები ვიდრე ეჭვგარეშე მტკიცებულება.

3.1.2 როდესაც სპორტსმენს ან სხვა პირს დაედება სასჯელი ანტი-დოპინგური წესების დარღვევაზე მტკიცებულების საფუძველზე, იმისათვის რომ გაუქმდეს ეს მტკიცებულება და დაუპირისპირდეს მას საწინააღმდეგო ფაქტები ან პირობები, მტკიცებულების სტანდარტი უნდა იყოს უბრალო ალბათობა.

3.2 ფაქტების დადგენის მეთოდები და პრეზუმფცია

ანტი-დოპინგური წესების დარღვევის ფაქტები უნდა იყოს გამოვლენილი საიმედო მეთოდებით, აღიარების ჩათვლით. დოპინგის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შემდეგი წესები:

3.2.1 *სავარაუდოდ სინჯების აღებას და კასტოდიალურ პროცედურებს ჩაატარებს მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ აკრედიტებული ლაბორატორიები* საერთაშორისო ლაბორატორიული სტანდარტების შესაბამისად. სპორტსმენს შეუძლია უარი განაცხადოს ამ ტესტირებაზე იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენს რომ ადგილი აქვს საერთაშორისო ლაბორატორიული სტანდარტებიდან გადახვევას. თუ სპორტსმენი მიუთითებს რომ ადგილი აქვს საერთაშორისო ლაბორატორიული სტანდარტებიდან გადახვევას, მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო (WADA) იძულებულია დაადგინოს რომ ამ გადახვევამ უარყოფითად არ იმოქმედა ანალიზის შედეგზე.

3.2.2 შედეგი არ იქნება გაუქმებული, თუ საერთაშორისო ლაბორატორიული სტანდარტებიდან გადახვევამ უარყოფითად არ იმოქმედა ანალიზის შედეგზე ან არ გამოიწვია სხვა ანტი-დოპინგური წესის დადღვევა. თუ სპორტსმენი მიუთითებს რომ სინჯის აღების დროს ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ლაბორატორიული სტანდარტებიდან გადახვევას, მაშინ მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო (WADA) იძულებულია დაადგინოს რომ ამ გადახვევამ გავლენა არ იქონია ანალიზის შედეგზე და არ გამოიწვია სხვა ანტი-დოპინგური წესის დადღვევა

4 თავი 4 აკრძალული სია

4.1 აკრძალული სია

4.1.1 ამ ანტიდოპინგურ წესებში შედის მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) საერთაშორისო სტანდარტი *აკრძალული სიისათვის*, რომელშიც დრო და დრო შედის ცვლილებები და ყველა მონაწილემ და სპორტულმა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა აღიაროს იგი.

4.1.2 დრო და დრო *აკრძალული სია* შესაძლოა გადახედულ იქნას მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ. ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად *აკრძალული სია* და შესწორებები ძალაში შედის მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ მისი გამოქვეყნებიდან 3 თვეში და არ მოითხოვს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოსაგან (seads) შემდგომ ქმედებას.

4.1.3 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (seads) უნდა გამოაქვეყნოს განახლებული აკრძალული სია. თითოეული ეროვნული სპორტული ფედერაცია ვალდებულია მიაწოდოს აკრძალული სია მის წევრებს და მონაწილეებს.

4.2 *აკრძალულ სიაში შეტანილი აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები*

აკრძალულ სიაში შედის ის აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აკრძალულია როგორც დოპინგი ნებისმიერ დროს (საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო) და ის ნივთიერებები და

მეთოდები, რომლებიც აკრძალულია მხოლოდ შეჯიბრის დროს.

4.3 აკრძალულ სიაში შესული ნივთიერებები და მეთოდები

მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ დადგენილი აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც შევლენ *აკრძალულ სიაში* არ შეიძლება იყოს სპორტსმენების ან სხვა პირების განხილვის საგანი.

4.4 ნებართვა თერაპიული გამოყენებისათვის (TUE)

4.4.1 ეს ანტიდოპინგის წესები შეიცავს მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) საერთაშორისო სტანდარტებს *გამონაკლისი თერაპიული გამოყენებისათვის (TUE)*, რომელშიც დრო და დრო შედის ცვლილებები. მას უნდა ეთანხმებოდეს და აღიარებდეს თითოეული ეროვნული ფედერაცია და მისი მონაწილე.

4.4.2 სპორტსმენს *ნებართვას თერაპიული გამოყენებისათვის (TUE)* ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც საჭიროებს აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენებას აძლევს *საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტო (GADA)*, მსოფლიო ანტიდოპინგის სააგენტო ან საერთაშორისო ფედერაცია, როგორც ეს ამ პუნქტშია მითითებული. სპორტსმენი, როგორც კი გაიგებს, რომ მისთვის აუცილებელია *აკრძალული პრეპარატის ან მეთოდის გამოყენება*, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს ამის შესახებ და *ნებართვა თერაპიული გამოყენებისათვის* მოიპოვოს შეჯიბრში მონაწილეობამდე.

4.4.3 სპორტსმენმა, რომელმაც უნდა გაიაროს ტესტირება ამ ანტიდოპინგის წესების შესაბამისად და რომელსაც ამ წესების მიღებამდე მიღებული ჰქონდა *ნებართვა თერაპიული გამოყენებისათვის* საერთაშორისო ფედერაციის მიერ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) და ეროვნულ ფედერაციას და წარუდგინოს მას ყველა დამადასტურებელი ინფორმაცია და დოკუმენტი. საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტო ცნობს *ნებართვას თერაპიული გამოყენებისათვის (TUE)*, თუ იგი გაცემულია ამ ანტიდოპინგის წესების მიღებამდე, თუ ის გაცემულია თერაპიული

გამოყენების ნებართვის სტანდარტების მიხედვით და არ აქვს ვადა გასული ან მოხვდა აკრძალულ სიაში მას შემდეგ რაც ის იყო გაცემული.

4.5 ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე საერთაშორისო ღონის სპორტსმენებისათვის და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისათვის

4.5.1 საერთაშორისო ღონის სპორტსმენებმა და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებმა *ნებართვისათვის თერაპიული გამოყენებაზე* უნდა მიმართონ საერთაშორისო ფედერაციას, გარდა სასწრაფო შემთხვევებისა, არა უგვიანეს 21 დღისა სპორტსმენის საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობამდე ან როგორც ამ საერთაშორისო ფედერაციის ანტიდოპინგის წესებში არის განსაზღვრული, ასლი ინფორმაციისათვის უნდა გაეგზავნოს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (seads). თუ საერთაშორისო ფედერაცია აძლევს ნებართვას *თერაპიული გამოყენებისათვის* სპორტსმენმა უნდა მიმართოს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს.

4.6 ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე ეროვნული ღონის სპორტსმენებისათვის და ეროვნულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისათვის

4.6.1 ეროვნული ღონის სპორტსმენებმა და ეროვნულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებმა ნებართვა *თერაპიული გამოყენებისათვის (TUE)* უნდა მიიღონ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოსგან. თუ სპორტსმენს მანამდე აქვს მიღებული ნებართვა *თერაპიული გამოყენებისათვის* საერთაშორისო ფედერაციისაგან და ის ჯერ კიდევ ძალაშია უნდა წარედგინოს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (seads)

4.7 საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს (seads) თერაპიული გამოყენების კომიტეტი (TUEC)

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (seads) ნიშნავს კომიტეტს

თერაპიული გამოყენებისათვის (TUEC) თერაპიული გამოყენების ნებართვაზე მიმართების განსახილველად. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით კომიტეტის ყველა წევრი დამოუკიდებელი უნდა იყოს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოსგან. თუ კომიტეტის წევრები დაინტერესებულნი არიან რომელიმე ეროვნული ფედერაციით ან საერთაშორისო ფედერაციით, ისინი გამოეთიშებიან იმ სპორტსმენტა მიმართების განხილვის პროცესს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ ეროვნულ ან საერთაშორისო ფედერაციას.

4.7.2 *თერაპიული გამოყენების კომიტეტის (TUEC) წევრმა დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს ეს მოთხოვნა TUE-ს სტანდარტების შესაბამისად და აღასრულოს გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს).*

4.7.3 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) და თერაპიული გამოყენების კომიტეტმა (TUEC) მიმართები უნდა განიხილონ და გადაწყვეტილება მიიღონ მკაცრი კონფიდენციალურობის პირობებში.

4.8 მიმართვა ნებართვაზე თერაპიული გამოყენებისათვის (TUE)

4.8.1 მიმართვა ნებართვაზე თერაპიული გამოყენებისათვის (TUE) უნდა გაკეთდეს თერაპიული გამოყენების (TUE) სტანდარტების შესაბამისად.

4.8.2 სპორტსმენტმა უნდა წარადგინოს წერილობითი თანხმობა, რომ მიმართვა თანხმლები ინფორმაციით განსახილველად გადაეცეს თერაპიული გამოყენების კომიტეტს (TUEC) და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამოუკიდებელ სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერტებს. სპორტსმენტმა ასევე უნდა წარადგინოს წერილობითი თანხმობა, რომ თერაპიული გამოყენების კომიტეტის (TUEC) გადაწყვეტილება გადაეგზავნოს სხვა შესაბამის ანტიდოპინგის

ორგანიზაციებს კოდექსის თანახმად და მონაცემები დაცული და გადაგზავნილი იქნას საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს საინფორმაციო ცენტრში.

4.9 თერაპიულ გამოყენებაზე ნებართვის (TUE) განხილვა

4.9.1 მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (WADA) სპორტსმენის თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეიძლება განიხილოს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს თანხმობა ან უარი თერაპიულ გამოყენებაზე.

4.9.2 ვიდრე მიმდინარეობს განხილვის პროცესი, მიღებული გადაწყვეტილება რჩება ძალაში.

4.9.3 თუ მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (WADA) გადაწყვეტს, რომ გადაწყვეტილება არ არის მიღებული არსებული თერაპიული გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების (TUE) შესაბამისად, მას შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება და გააუქმოს წინამდებარე. გაუქმების შემთხვევაში მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტო ატყობინებს სპორტსმენს, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) და შესაბამის ეროვნულ ფედერაციას.

4.9.4 თერაპიული გამოყენების ნებართვაზე გადაწყვეტილება ექვემდებარება შემდგომ მიმართვას, როგორც ეს მოცემულია პუნქტში 13.8 (მიმართვა თერაპიული გამოყენების ნებართვაზე თანხმობის ან უარის შემდეგ) და სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს წესების შესაბამისად.

5 პუნქტი 5 ტესტირება

5.1 ტესტირების საერთაშორისო სტანდარტები

ამ ანტიდოპინგის წესებში შედის მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) ტესტირების საერთაშორისო სტანდარტები, რომელშიც დრო და დრო შედის შესწორებები. ყველა მონაწილე და ეროვნული ფედერაცია უნდა ემორჩილებოდეს ამ შესწორებებს როგორც მის განუყოფელ ნაწილს. საქართველოს ანტიდოპინგის

სააგენტოს და ეროვნული ფედერაციების მიერ ჩატარებული ტესტირება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ტესტირების საერთაშორისო სტანდარტებს.

5.2 ტესტირება

ყველა სპორტსმენი, რომელიც ექვემდებარება ამ ანტიდოპინგის წესებს გადის ტესტირებას ჩატარებულს მათი ეროვნული ფედერაციის, საერთაშორისო ფედერაციის, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (seads), და ტესტირებაზე პასუხისმგებელი რომელიმე ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ შეჯიბრის ან ღონისძიების დროს, რომელშიც ისინი მონაწილეობენ. ყველა სპორტსმენი, რომელიც ექვემდებარება ამ ანტიდოპინგის წესებს გადის ტესტირებას შეჯიბრის გარეთ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას ჩატარებულს მათი ეროვნული ფედერაციის, საერთაშორისო ფედერაციის, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (seads), მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA), იმ ქვეყნის ანტი-დოპინგური ორგანიზაციის, რომელშიც სპორტსმენი იმყოფება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის მიერ პარალიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით. ეს ტესტირება შეიძლება შეიცავდეს მიზნობრივ ტესტირებას.

5.3 ტესტირება ღონისძიებებზე

საერთაშორისო ღონისძიებებზე დოპინგის კონტროლისათვის სინჯების აღება შეიძლება ჩატარდეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის ამ ღონისძიების ორგანიზატორი. თუ საერთაშორისო ორგანიზაცია გადაწყვეტს არ ჩაატაროს ტესტირება ასეთ ღონისძიებაზე, საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (seads) საერთაშორისო ორგანიზაციასთან ან მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოსთან თანამშრომლობით ან ნებართვით შეუძლია ინიციატივა აიღოს სინჯების აღებაზე. მოთხოვნა ადგილსამყოფელის შესახებ

5.2.1 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა დაადგინოს ტესტირების სარეგისტრაციო სია და დრო და დრო წესის მიხედვით უნდა შეცვალოს იგი. თითოეული ეროვნული ფედერაცია უნდა

დაეხმაროს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) დაადგინოს ტესტირების სარეგისტრაციო სია. ეროვნულმა ფედერაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ის სპორტსმენები, რომლებიც არ არიან მათი მუდმივი წევრები შეყვანილი იქნან, როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (NOC) წევრები GADA-ს ტესტირების სარეგისტრაციო სიაში ერთი წლით ადრე ოლიმპიურ თამაშებამდე.

5.2.2 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა შეატყობინოს თითოეულ სპორტსმენს მათი შეყვანის თაობაზე ტესტირების სარეგისტრაციო სიაში და გააცნოს მათი ვალდებულებები ამ ანტიდოპინგის წესების შესაბამისად. თითოეულმა სპორტსმენმა ტესტირების სარეგისტრაციო სიისათვის უნდა შეავსოს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) მიერ მომზადებული ფორმები ექვსი თვის ინფორმაციით ადგილსამყოფელის შესახებ. ეს ინფორმაცია აღწერს სპორტსმენის ყოველდღიურ განრიგს, თუ სად იმყოფება იგი, სად და როდის ვარჯიშობს და სად და როდის იღებს მონაწილეობას შეჯიბრში. სპორტსმენებმა ეს ინფორმაცია უნდა განაახლონ პერმანენტულად საჭიროების მიხედვით, რომ ინფორმაცია იყოს ახალი და სრული. სპორტსმენები ასევე ვალდებული არიან ინფორმაცია ადგილსამყოფელის შესახებ მიაწოდონ თავიანთ საერთაშორისო ფედერაციებს და ასევე ასლი გადაუზღავნონ საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს), სანამ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს საინფორმაციო ცენტრიდან. საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) ურჩევს პასუხისმგებელ სპორტულ ორგანიზაციას ნაწილობრივ ან მთლიანად შეუწყვიტოს მათ სპორტულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული დაფინანსება იმ სპორტსმენებს, რომელთაგანაც საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) სისტემატურად არ ღებულობს ინფორმაციას დროულად ან მიწოდებული ინფორმაცია არ არის სრული.

5.2.3 თუ რომელიმე სპორტსმენი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას, წარადგინოს სავალდებულო ანგარიში ადგილსამყოფელის შესახებ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოსაგან (სეადს) სამი ოფიციალური შეტყობინების შემდეგ ბოლო 18 თვის მანძილზე, ეს

ქმედება ჩაითვლება ანტიდოპინგის წესების დარღვევად პუნქტ 2.4-ის შესაბამისად.

5.2.4 თუ რომელიმე სპორტსმენი, რომელიც შედის საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს (სეადს) ტესტირების სრეგისტრაციო სიაში არ გაივლის 3 გემიურ ტესტირებას ბოლო 18 თვის მანძილზე, ეს ქმედება ჩაითვლება ანტიდოპინგის წესების დარღვევად პუნქტ 2.4-ის შესაბამისად. თითოეული გემიური ტესტირების წინ სპორტსმენს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება.

5.3 შეჯიბრიდან განთავისუფლება და დაბრუნება

5.3.1 სპორტსმენი, რომელიც შედის საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს (სეადს) ტესტირების სრეგისტრაციო სიაში ემორჩილება ამ ანტიდოპინგის წესებს, იმ პირობის ჩათვლით რომ იყოს ხელმისაწვდომი ტესტირებისათვის შეჯიბრის გარეთ წინასწარი შეტყობინების გარეშე მანამდე, ვიდრე წერილობით არ შეატყობინებს საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს (სეადს) და ეროვნულ სპორტულ ფედერაციას მათი განთავისუფლების შეასხებ ამ ანტიდოპინგის წესების გამო ან აღარ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს რომ შედიოდნენ საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს (სეადს) ტესტირების სრეგისტრაციო ფონდში da ecnobaT amis SesaxeB საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს (სეადს) მიერ.

5.3.2 სპორტსმენი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მონაწილეობის უფლება მისი შეტყობინების გამო განთავისუფლებაზე ვერ განაახლებს სპორტულ ასპარეზობას, თუ 12 თვით ადრე შეჯიბრამდე არ შეატყობინებს საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს (სეადს) რომ აპირებს დაბრუნებას შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. ამ შეტყობინებით იგი ადასტურებს რომ ემორჩილება ამ ანტიდოპინგის წესებს და ასევე იძლევა ინფორმაციას მისი ადგილსამყოფელის შესახებ, რაც ხელმისაწვდომს ხდის მას ტესტირებისათვის შეჯიბრის გარეთ.

5.4 სპორტსმენების შერჩევა ტესტირებისათვის

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) სპორტსმენები უნდა შეარჩიოს იმ პროცედურებით, რომლებიც სავსებით

შეესაბამება ტესტირების მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მიმართებაში არ უნდა გამოიყენებოდეს წინასწარი შეტყობინება არასაშეჯიბრო ტესტირებისათვის.

5.5 არასრულწლოვანების ტესტირება

არასრულწლოვან სპორტსმენებს ტესტირება ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად ჩაუტარდება, თუ მათზე პასუხისმგებელი პირი წინასწარ მისცემს თანხმობას. ეს წინასწარი თანხმობა იქნება წინაპირობა არასრულწლოვანი სპორტსმენის მონაწილეობისა სპორტულ ღონისძიებაში, ვიდრე შესაბამისი ეროვნული ფედერაციის წესები არ უზრუნველყოფს სხვაგვარად.

5.6 დამოუკიდებელ დამკვირვებელთა პროგრამა

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ, ეროვნულმა ფედერაციებმა, ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტმა და მისმა თანამშრომლებმა, კონტრაქტორებმა, ოფიციალურმა პირებმა და აგენტებმა უნდა უზრუნველყონ დამოუკიდებელ დამკვირვებელთა პროგრამის დაშვება შეჯიბრზე.

6 პუნქტი 6 სინჯების ანალიზი

6.1 საერთაშორისო სტანდარტები ლაბორატორიებისათვის

6.2 ამ ანტიდოპინგურ წესებში შედის მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) საერთაშორისო სტანდარტები ლაბორატორიებისათვის. დრო და დრო მასში შედის ცვლილებები და საერთაშორისო სტანდარტების განუყოფელ ნაწილს ყველა მონაწილემ და ეროვნულმა ფედერაციამ პატივი უნდა სცეს მათ, როგორც

6.3 დამტკიცებული ლაბორატორიების გამოყენება

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ამ წესების შესაბამისად აღებული სინჯები დოპინგის კონტროლისათვის უნდა გაუგზავნოს მხოლოდ მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ აკრედიტებულ ან მის მიერ დამტკიცებულ

ლაბორატორიებს. მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (*WADA*) მიერ აკრედიტებული ლაბორატორიის არჩევა სინჯების ანალიზისათვის დამოკიდებულია მხოლოდ საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოზე (სეადს). ლაბორატორიების მიერ დოპინგის კონტროლის სინჯების ანალიზი და შედეგების შეტყობინება უნდა მოხდეს ლაბორატორიების სართაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

6.4 გამოსავლენი ნივთიერებები

დოპინგის კონტროლის სინჯების ანალიზი ტარდება იმ აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების გამოსავლენად, რომლებიც შედიან აკრძალულ სიაში და იმ ნივთიერებების გამოსავლენად, რომლებიც მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (*WADA*) მითითებით ექვემდებარება მონიტორინგის პროგრამას, როგორც ეს აღწერილია კოდექსის 4.5 პუნქტში.

6.5 სინჯების კვლევა

არცერთი სინჯი არ შეიძლება იყოს გამოყენებული სხვა მიზნისათვის სპორტსმენის წერილობითი თანხმობის გარეშე გარდა იმისა რომ გამოვლინდეს ნივთიერებები (ან ნივთიერებათა კლასი) ან მეთოდები, რომლებიც შეტანილია აკრძალულ სიაში ან მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (*WADA*) მინიშნებით ექვემდებარება მისი მონიტორინგის პროგრამას.

7 პუნქტი 7 შედეგების მიღება

7.1 ლაბორატორიული შედეგები და შესაძლო არასწორი ანგარიში

7.1.1 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ანლიტიკური შედეგები ლაბორატორიიდან უნდა მიიღოს ფაქსით, ხელზე მოტანით ან ელექტრონულად მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს (*WADA*) საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

7.1.2 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) სხვა სინჯის აღების პროცედურასთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან ერთად შესაძლოა მიიღოს რომელიმე დოპინგის კონტროლის ოფიცრის

ანგარიში იმის შესახებ რომ შესაბამისი დოპინგის კონტროლის ოფიცერი არ მოქმედებდა სტანდარტების შესაბამისად. დოკუმენტები მიღებული უნდა იყოს დაცული ფაქსით, ხელზე მოტანით ან ელექტრონულად მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

7.2 უარყოფითი ანალიტიკური შედეგები

7.2.1 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეაღს) დოპინგის კონტროლის ფორმიდან უნდა დაადგინოს ყველა სპორტსმენი, რომელთა სინჯების ანალიტიკური შედეგებიც იყო ყარყოფითი.

7.2.2 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეაღს) სინჯების უარყოფითი შედეგები მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) საინფორმაციო ცენტრის საშუალებით უნდა შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს რატიფიცირებისათვის.

7.2.3 საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეაღს) შეიძლება უარყოფითი პასუხები შეატყობინოს სპორტსმენებს ან მათ წარმომადგენლებს.

7.2.4 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეაღს) სინჯების აღების ყველა დოკუმენტი უარყოფით ანალიტიკურ პასუხებთან ერთად უნდა შეინახოს მინიმუმ 8 წლის მანძილზე.

7.3 არასასურველი ანალიტიკური შედეგები

7.3.1 პირველადი განხილვა¹

- არასასურველი ანალიტიკური პასუხების მიღებისას საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეაღს) უნდა განიხილოს სინჯების აღების დოკუმენტებთან დაკავშირებული ყველა დარღვევა (დოპინგის კონტროლის ფორმის, დოპინგის კონტროლის ოფიცერის ანგარიშის და სხვა ჩანაწერების ჩათვლით) და ლაბორატორიული ანალიზი.
- თუ დოკუმენტებში არის რაიმე დარღვევა, საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეაღს) უნდა დაადგინოს, ჩაითვლება თუ არა აქედან გამომდინარე არასასურველი უარყოფითი პასუხი

¹ მიმართეთ კოდექსის 3. 2, 3.2.1 და 3.2.2 პუნქტებს

უკანონოდ.

- თუ აღმოჩნდება რომ იყო დარღვევა არასასურველი ანალიტიკური შედეგის მიღებისას, საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ტესტის შედეგი უნდა გამოაცხადოს გაუქმებულად.
- თუ ტესტი გამოცხადდება გაუქმებულად, საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) სპორტსმენისათვის მოგვიანებით უნდა დაგეგმოს დამატებითი ტესტის ჩატარება.
- თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) ტესტს გამოაცხადებს გაუქმებულად, მან მაშინათვე უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სპორტსმენს, მის საერთაშორისო ფედერაციას, ეროვნულ ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს.

7.3.2 შემდგომი კვლევა

- თუ სინჯი აჩვენებს აკრძალული ნივთიერების არსებობას (მაგ. ენდოგენური ნივთიერების), მაგრამ საჭიროებს შემდგომ კვლევას, რომ დადგინდეს ანტიდოპინგის წესების დარღვევა², საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა ჩაატაროს კვლევა, ვიდრე ამას სპორტსმენს შეატყობინებს.
- იმ შემთხვევაში, თუ ლაბორატორიამ განაცხადა ტესტოსტერონის/ეპიტესტოსტერონის 6 1-თან მეტი კოეფიციენტის არსებობა შარდში, სავალდებულოა შემდგომი გამოკვლევა, იმისათვის რომ დადგინდეს არის თუ არა ეს გამოწვეული ფსიქოლოგიური თუ პათოლოგიური მდგომარეობით. კვლევაში უნდა შედიოდეს ყველა წინა და შემდგომი ტესტის კვლევა, ენდოკრინოლოგიური კვლევის შედეგები და/ან **CIRMS** ანალიზი. თუ წინა ტესტები არ არის ხელმისაწვდომი, სპორტსმენმა უნდა გაიაროს ენდოკრინული შემოწმება ან ტესტირება წინასწარი შეტყობინების გარეშე სამ თვეში ერთხელ.
- საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დახმარებისათვის თხოვნით მიმართოს

² იხილეთ პუნქტი 7.3, 7.4

ლაბორატორიას ან სხვა სამეცნიერო და/ან სამედიცინო ექსპერტს ჩაატაროს გამოკვლევა სპორტსმენის ვინაობის გამჟღავნების გარეშე.

- თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) დაადგენს, რომ ჩატარებული ტესტირების პასუხი შეესაბამება კვლევის შედეგს და საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) არ გააჩნია ტესტის შედეგები, მან წერილობით უნდა მიმართოს სპორტსმენს რომ ესაჭიროება ჩატარებული ტესტის ისტორია და აუხსნას მოთხოვნის მიზეზი. სპორტსმენმა მოთხოვნის მიღებიდან 7 დღეში უნდა წარუდგინოს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) მოთხოვნილი საბუთები და უფლებამოსილება მისცეს მას მოითხოვოს სხვა ანტიდოპინგის ორგანიზაციებიდან ეს ინფორმაცია. საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) შეუძლია დაუკავშირდეს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს სხვა ლაბორატორიებს, რომ შეამოწმოს ჩატარებული ტესტის ისტორია.
- საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) კვლევის შედეგად უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, ჰქონდა თუ არა ადგილი ანტიდოპინგის წესების დარღვევას. გადაწყვეტილების მიღებისას მან მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა ლაბორატორიული ანალიზი და სამედიცინო მრჩევლებისა და განმხილველი კომიტეტის აღმოჩენები და რეკომენდაციები. საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) შეუძლია დახმარება სთხოვოს ლაბორატორიას და სხვა რომელიმე ექსპერტს საბოლოო კვლევის შედეგების განმარტებისათვის.
- თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) დაადგენს, რომ არასასურველი ანალიტიკური დასკვნა გამომდინარეობდა სპორტსმენის ფსიქოლოგიური ან პათოლოგიური მდგომარეობიდან და არ ჰქონდა ადგილი ანტიდოპინგის წესების დარღვევას, იგი შეატყობინებს სპორტსმენს ამის შესახებ და შედეგად არ განხორციელდება სანქციები არასასურველ ანალიტიკური შედეგიდან გამომდინარე.
- თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) აღმოაჩენს ანტი-დოპინგური წესების დარღვევას, მაშინ ის იმოქმედებს ამ ანტი-დოპინგური წესების *არასასურველი ანალიტიკური შედეგის*

შესაბამისად.

7.3.3 ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე

- თუ ანალიზი აღმოაჩენს იმ აკრძალულ ნივთიერებას ან მეთოდს, რომლისთვისაც გაცემულია ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე თერაპიული გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შემდგომი სანქციები აღარ გატარდება.
- თუ სპორტსმენს აქვს ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ აკრძალული ნივთიერების რაოდენობა არ შეესაბამება თერაპიული გამოყენების ნებართვას, მაშინ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) გამოიყენებს ამ ანტიდოპინგის წესების პუნქტს *არასასურველი ანალიტიკური შედეგი*.
- თუ სპორტსმენს არ აქვს ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მაშინ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) გამოიყენებს ამ ანტიდოპინგის წესების პუნქტს *არასასურველი ანალიტიკური შედეგი*.
- მიუხედავად იმისა რომ სპორტსმენი წარმოადგენს სხვა სამედიცინო ინფორმაციას დოპინგის კონტროლის დროს, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) გამოიყენებს ამ ანტიდოპინგის წესების პუნქტს *არასასურველი ანალიტიკური შედეგი*.

7.3.4 შეტყობინება პირველადი განხილვის შემდეგ

- როდესაც საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) დაადგენს, რომ არასასურველი ანალიტიკური შედეგის მიღებისას ადგილი არ ჰქონია რაიმე დარღვევას, რომლის შედეგადაც შეიძლება ის გაუქმებული იყოს და არ არის გაცემული ნებართვა თერაპიული გამოყენებისათვის, მან უნდა უზრუნველყოს ათლეტის წერილობით შეტყობინება არასასურველი ანალიტიკური შედეგის შესახებ, შეტყობინებაში უნდა შედიოდეს შემდეგი:

ა) სპორტსმენის სახელი, ქვეყანა, სპორტის სახეობა და დისციპლინა;

- ბ) შეჯიბრის დროს ან შეჯიბრის გარეთ კონტროლი და სინჯის აღების თარიღი;
- გ) დადასტურება რომ A სინჯის პასუხი იყო არასასურველი ანალიტიკური შედეგი და აკრძალული ნივთიერების დეტალები აღმოჩენილი A სინჯში;
- დ) აღმოჩენილი ანტი-დოპინგური წესის დარღვევა საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს), საერთაშორისო ფედერაციის ან ეროვნული ფედერაციის წესების შესაბამისად ან თუ დამატებითი კვლევის ჩატარება არის საჭირო, კვლევის აღწერა, რომელიც ჩატარდება ანტი-დოპინგური წესების დარღვევის არსებობის შემთხვევაში;
- ე) შესაძლო სანქციები ანტიდოპინგის წესების დარღვევის შემთხვევაში;
- ვ) სპორტსმენის უფლება მოითხოვოს B სინჯის ანალიზი, ან უარი B სინჯის აღებაზე და A სინჯის გამოყენება, როგორც ანტი-დოპინგური წესების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულება;
- ზ) სპორტსმენის ან მისი წარმადგენლის დასწრება B სინჯის გახსნისა და ანალიზის დროს, თუ ასეთი ანალიზი იქნება საჭირო;
- თ) სხვა მხარეები, რომელთაც გაეგზავნებათ შეტყობინება არასასურველი ანალიტიკური შედეგის თაობაზე;
- ი) სპორტსმენის უფლება მოითხოვოს ლაბორატორიის ანგარიში A და B სინჯებზე, რომელიც შეიცავს ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამის ინფორმაციას;
- კ) სპორტსმენის უფლება პასუხი გასცეს მტკიცებულებას ანტიდოპინგის წესების დარღვევაზე;
- ლ) იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული იქნება წინასწარი შეჩერება პუნქტ 7.6-ის შესაბამისად, წინასწარი შეჩერების დეტალები, წინასწარი მოსმენა და/ან დაჩქარებული მოსმენა; და
- მ) სპორტსმენის უფლება უარი თქვას მოსმენის უფლებაზე ანტიდოპინგურ წესების დარღვევის აღიარებით.

- წინასწარი შეჩერების დაკისრების შემთხვევაში (პუნქტი 7.6) ან სხვა შემთხვევაში ზემოთ ხსენებული დეტალები შეიძლება

გადაეცეს სპორტსმენს და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს სიტყვიერად პირველ ეტაპზე და შემდეგ წერილობით, რაც შეიძლება სწრაფად.

7.3.5 B სინჯის ანალიზი

- თუ სპორტსმენი ან საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტო (სეადს) გადაწყვეტს B სინჯის აღებას, საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო (სეადს) უნდა დაუკავშირდეს ლაბორატორიას და შეუთანხმოს თარიღი B სინჯის ასაღებად.
- საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა შეატყობინოს სპორტსმენს B სინჯის აღების თარიღი არა უგვიანეს 5 დღისა სპორტსმენის მოთხოვნიდან.
- B სინჯის აღების თარიღი შეიძლება დადგინდეს სპორტსმენს, საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) და ლაბორატორიას შორის მიღწეული შეთანხმებით.
- სპორტსმენს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს B სინჯის იდენტიფიკაციას, გახსნას და ანალიზს³.
- თუ სპორტსმენი ან მის წარმომადგენელი არ ესწრება B სინჯის იდენტიფიკაციას, გახსნას და ანალიზს⁴, საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო (სეადს) ან ლაბორატორია ნიშნავს დამოუკიდებელ პირს⁵.
- B სინჯის ანალიზი ტარდება იგივე ლაბორატორიაში, სადაც ჩატარდა A სინჯის ანალიზი და სხვა ლაბორანტის მიერ⁶.
- თუ B სინჯის ანალიზი არ ემთხვევა A სინჯის ანალიზს, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) აცნობებს სპორტსმენს, რომ სინჯი გამოცხადდა უარყოფითად და სპემდგომო სანქციები არ განხორციელდება. იმ შემთხვევაში

³. იხილეთ კოდექსის 7.2

⁶. იხილეთ ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტი, პუნქტი 5.2.4.3.2.4.

⁴. იხილეთ კოდექსის 7.2 მუხლი

⁶. იხილეთ ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტი, პუნქტი 5.2.4.3.2.4.

⁷. იხილეთ ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტი, პუნქტი 5.2.4.3.2.4.

როდესაც პირობითი შეჩერება განხორციელდა, მიმართეთ პუნქტ 7.6.4-ს.

- თუ B სინჯის ანალიზი ემთხვევა A სინჯის უარყოფით შედეგს, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) მოქმედებს ამ ანტიდოპინგის წესების უარყოფითი ანალიტიკური შედეგის შესაბამისად.

7.4 ანტიდოპინგის სხვა წესების დარღვევა

7.4.1 პირველადი განხილვა

- დოპინგის კონტროლის ოფიცრის ანგარიშის ან სხვა დაკავშირებული დოკუმენტების მიღებისას, რომლებშიც ნაჩვენებია შესაძლო ანტიდოპინგის წესების დარღვევა, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) შეამოწმებს, ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის დარღვევას დოკუმენტების შედგენისას.
- თუ დოკუმენტი შედგენილია კანონის დარღვევით, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) განსაზღვრავს, საფუძვლიანი იქნება თუ არა ამ დარღვევის შესაბამისად გაუქმდეს დადგენილება ანტი-დოპინგური წესების დარღვევის არსებობაზე.
- თუ საფუძვლიანად ჩაითვლება ამ კანონდარღვევის შედეგად ანტი-დოპინგური წესების დარღვევაზე დადგენილების გაუქმება, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) აღარ განიხილავს დოპინგის კონტროლის ოფიცრის ანგარიშს.
- თუ საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტო (სეადს) აღარ გააგრძელებს დოპინგის კონტროლის ოფიცრის ანგარიშის განხილვას, მან მაშინათვე უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სპორტსმენის ეროვნულ ფედერაციას, საერთაშორისო ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს (WADA).
- სპორტსმენს ან მის დამხმარე პერსონალს შეუძლია წარადგინოს განცხადება შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევასთან

დაკავშირებით. საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ეს განცხადება უნდა მიიღოს მხედველობაში გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდა თუ არა ადგილი ანტი-დოპინგური წესების დარღვევას სპორტსმენის ან მისი დამხმარე პერსონალის მხრიდან.

7.4.2 შეტყობინება პირველადი განხილვის შემდეგ

- თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) გადწყვეტს, რომ ანტიდოპინგის ოფიცრის მიერ წარდგენილი ანგარიში ან სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც აჩვენებს ანტი-დოპინგური წესების დარღვევას არ არის შედგენილი კანონის დარღვევით და შესაბამისად არ მოხდება მისი გაუქმება, მან უნდა უზრუნველყოს სპორტსმენისათვის წერილობითი შეტყობინება ანტი-დოპინგური წესების დარღვევის შესახებ.

შეტყობინებაში უნდა შედიოდეს შემდეგი:

- ა) სპორტსმენის ან მისი დამხმარე პერსონალის სახელი, ქვეყანა, სპორტის სახეობა და დისციპლინა.
- ბ) დოპინგის კონტროლის ოფიცრის ანგარიშის და დაკავშირებული დოკუმენტაციის მოკლე შინაარსი, რომელიც მიუთითებს ანტი-დოპინგური წესების დარღვევას;
- გ) ანტი-დოპინგური წესის დარღვევა საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს), საერთაშორისო ფედერაციის და ეროვნული ფედერაციის წესების შესაბამისად. თუ საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება, დამატებითი კვლევის აღწერა, რომელიც ჩატარდება იმის დასადგენად ჰქონდა თუ არა ადგილი ანტი-დოპინგური წესების დარღვევას;
- დ) *სანქციები ანტი-დოპინგური წესების დარღვევისათვის;*
- ე) სპორტსმენის ან მისი დამხმარე პერსონალის უფლება გაასაჩივროს შესაძლო ანტი-დოპინგური წესის დარღვევა;
- ვ) სხვა მხარეები, რომელთაც გაეგზავნებათ შეტყობინება ანტი-დოპინგური წესის დარღვევაზე; და
- ზ) დროებითი განთავისუფლების შემთხვევაში პუნქტ 7.6-ის შესაბამისად, დეტალები დროებით განთავისუფლებაზე, წინასწარი მოსმენა ან/და დაჩქარებული მოსმენა.

- დროებითი დისკვალიფიკაციის შემთხვევაში (პუნქტი 7.6) ან სხვა შემთხვევაში ზემოთ ხსენებული დეტალები შეიძლება გადაეცეს სპორტსმენს და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს სიტყვიერად პირველ ეტაპზე და შემდეგ წერილობით, რაც შეიძლება სწრაფად.

7.5 სპორტსმენის ვინაობა

- 7.5.1 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ დოპინგის კონტროლის ფორმიდან ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციიდან უნდა დაადგინოს ყველა სპორტსმენის ვინაობა, რომელთა სინჯებსაც აღმოაჩნდა არასასურველი ანალიტიკური შედეგები ან შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა.
- 7.5.2 სპორტსმენების ან მათი დამხმარე პერსონალის ვინაობა უნდა იყოს კონფიდენციალური შედეგების დაგენის პროცესში. შეტყობინება გაეგზავნება მხოლოდ იმ სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელმაც შესაძლოა დაარღვია ანტი-დოპინგური წესები. სპორტსმენის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, ეროვნულ ფედერაციას, საერთაშორისო ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს შეტყობინება გაეგზავნებათ წინასწარი განხილვის შემდეგ⁷.

7.6 წინასწარი მოსმენა და დისკვალიფიკაცია⁸

- 7.6.1 როგორც კი სპორტსმენი მიიღებს შეტყობინებას საწყისი განხილვის შემდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია პუნქტში 7.3.4, საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) ან შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია მისცეს მას დროებითი დისკვალიფიკაცია.
- 7.6.2 როდესაც სპორტსმენს ეძლევა დროებითი დისკვალიფიკაცია, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა:
- ა) წინასწარი მოსმენისა დროებითი დისკვალიფიკაციის დაკისრებამდე;

⁷. იხილეთ კოდექსის 14.1, 7.1 და 7.2 მუხლი

⁸. იხილეთ კოდექსის 7.5 მუხლი

- ბ) წინასწარი მოსმენისა, რაც შეიძლება სწრაფად (10 დღის მანძილზე) დისკვალიფიკაციის დაკისრების შემდეგ. ვადის გაგრძელება მოხდება მხოლოდ წერილობითი შეტყობინების შემდეგ;
- გ) დაჩქარებული მოსმენისა, რაც შეიძლება სწრაფად დისკვალიფიკაციის მიცემის შემდეგ.

7.6.3 ყველა წინასწარი ან დაჩქარებული მოსმენა ჩატარდება პუნქტ 7.5-ის შესაბამისად და კოდექსის მე-8 თავის შესაბამისად. შესაძლოა გამოყენებულ იქნას ცალკეული სახელმძღვანელოები მოსმენებისათვის.

7.6.4 დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს დაკისრებული დისკვალიფიკაცია, თუ სპორტსმენს მიეცა დროებითი დისკვალიფიკაცია A სინჯის არასასურველი შედეგის გამო და სპორტსმენის მოთხოვნით ჩატარებული B სინჯის ანალიზი არ ემთხვევა A სინჯის არასასურველ შედეგს.

7.6.5 დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს დაკისრებული დისკვალიფიკაცია, თუ სპორტსმენს მიეცა დისკვალიფიკაცია ანტიდოპინგის კონტროლის ანგარიშის და შესაბამისი დოკუმენტაციის გამო, რომელიც აჩვენებს შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევას და საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) სპორტსმენის საჩივრის განხილვის შემდეგ დაადგინა, რომ არ ყოფილა ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

7.6.6 თუ სპორტსმენი ან მისი გუნდი დროებით დისკვალიფიცირებულნი არიან შეჯიბრიდან ან ღონისძიებიდან და დისკვალიფიკაცია გაუქმდა პუნქტ 7.6.4 და 7.6.5-ის შესაბამისად და შესაძლებელია სპორტსმენის ან გუნდის თავიდან ჩასმა შეჯიბრის ან ღონისძიების განრიგის დარღვევის გარეშე, მათ ნებართვა მიეცემა გააგრძელონ მონაწილეობა შეჯიბრში ან ღონისძიებაში.

7.6.7 თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო დაადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია ანტი-დოპინგური წესების დარღვევას, მან

დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაციას, ეროვნულ ფედერაციას, ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (*WADA*).

7.7 ანტი-დოპინგური წესების დარღვევის მტკიცებულება

7.7.1 თუ არის არასასურველი ანალიტიკური შედეგი და თუ:

- ა) ტესტი არ გამოცხადებულა გაუქმებულად უკანონობის გამო პუნქტი 7.3.1-ის შესაბამისად;
- ბ) აკრძალული ნივთიერების არსებობა, რომელიც არ ექვემდებარება *თერაპიულ გამოყენებას (TUE)* პუნქტი 4-ის შესაბამისად;
- გ) სპორტსმენმა არ მოითხოვა B სინჯის ანალიზი, ან B სინჯის ანალიზი გაკეთდა და დაემთხვა A სინჯის *არასასურველ ანალიტიკურ შედეგს* პუნქტი 7.3.5-ის შესაბამისად;
- დ) ყველა ჩატარებული დამატებითი კვლევის შედეგი არის შესაძლო ანტიდოპინგის წესის დარღვევა პუნქტი 7.3.2-ის შესაბამისად; და
- ე) სპორტსმენი ვერ წარმოადგენს რაიმე ინფორმაციას ან მტკიცებულებას ტესტის უკანონობაზე, რაც მოითხოვს შემდგომ კვლევას,

მაშინ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) ადასტურებს რომ ადგილი ჰქონდა ანტიდოპინგის წესების დარღვევას.

7.7.2 .თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) დაადასტურებს ანტი-დოპინგური წესების დარღვევას, მან ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს სპორტსმენს, საერთაშორისო ფედერაციას, ეროვნულ ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (*WADA*).

7.7.3 თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) დაადასტურებს ანტი-დოპინგური წესების დარღვევას, მან ამის

შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს ანტიდოპინგურ დისციპლინარულ საბჭოს, რათა ჩატარდეს მოსმენა პუნქტი 8-ის და სხვა სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა მიაწოდოს ანტიდოპინგურ დისციპლინარულ საბჭოს ყველა დამადასტურებელი დოკუმენტი.

7.7.4 სპორტსმენს უფლება აქვს ანტი-დოპინგური წესების დარღვევის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტის ასლზე, ამიტომ საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) თხოვნის შემდეგ უნდა მიაწოდოს მას ან მის წარმომადგენელს ყველა დოკუმენტი.

8 პუნქტი 8 დისციპლინარული პროცედურები

8.1 საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს დანიშნვა

8.1.1 საქართველოს დამოუკიდებელი ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭო უნდა დაინიშნოს საქართველოს მთავრობის ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ შემდეგი შემადგენლობით:

- ა) თავმჯდომარე და ორი (2) მოადგილე, რომელთაგან ორივე უნდა იყოს იურისტი, არა ნაკლებ ხუთ (5) წლიანი გამოცდილებით; და
- ბ) სამი (3) პრაქტიკოსი ექიმი, არა ნაკლებ 5 წლის გამოცდილებისა; და
- გ) სამი (3) წევრი დამატებით; რომელთაგან სამივე წარსულში იყო ან არის სპორტსმენი ან სპორტული მენეჯერი,

ყველა დანიშნული პირი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

8.1.2 საბჭოს თითოეული წევრი დანიშნული იქნება 4 წლის ვადით.

8.1.3 თუ საბჭოს რომელიმე წევრი გარდაიცვალა ან გადადგა, გათავისუფლებული ვაკანსიის შესავსებად საქართველოს მთავრობა ან ოლიმპიური კომიტეტი საბჭოს წევრად ნიშნავს დამოუკიდებელ პირს. ახალი წევრი დაინიშნება იმ წევრის დარჩენილი ვადით, რომლის მიხეზითაც განთავისუფლდა ვაკანსია.

8.1.4 საბჭოს წევრის გადარჩევა ხდება საქართველოს მთავრობის ან ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

8.2 საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს იურისდიქცია

8.2.1 საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭო უფლებამოსილია მოისმინოს და გადაჭრას ყველა ის საკითხი, რომელიც გადაეცემა მას ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად. საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭო უფლებამოსილია დაადგინოს სანქციები ანტი-დოპინგური წესების დარღვევისათვის, რომლებიც იქნება დაკისრებული ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად.

8.2.2 საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭო თავისი ფუნქციების განხორციელებისას უნდა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი.

8.2.3 საქართველოს ანტიდოპინგურ დისციპლინარულ საბჭოს გააჩნია ყველა საჭირო უფლებამოსილება რომ შეასრულოს თავისი ფუნქციები.

8.2.4 ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს მიერ გამოტანილი დადგენილება, ანტი-დოპინგური წესების დარღვევისათვის დაკისრებულ სანქციებზე არ ექვემდებარება განხილვას, გაუქმებას არც ერთი სასამართლოს, არბიტრაჟის, ტრიბუნალის ან სხვა მოსმენითი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოსი ან სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოსი რაიმე მიზეზის: შეცდომის, უკანონობის, მხედველობიდან გამორჩენის, იმ პროცედურებიდან გადახვევის გამო, რომლებიც დადგენილია ამ ანტიდოპინგის წესებში და რომლებიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების უშეცდომობას.

8.3 მოსმენა ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს წინ

8.3.1 ანტი-დოპინგური წესების აღმოჩენის შემთხვევაში, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) მე-7 პუნქტის (შედეგების მიღება) ამ საკითხს გადაუგზავნის ანტიდოპინგურ

დისციპლინარულ საბჭოს იმისათვის, რომ გამოიტანოს სამართლებრივი დადგენილება, ჰქონდა თუ არა ადგილი ანტი-დოპინგური წესების დარღვევას და დამტკიცების შემთხვევაში დაეკისროს შესაბამისი სანქციები.

8.3.2 ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარემ ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში მისმა მოადგილემ მოსმენისათვის და თითოეული შემთხვევის განხილვისათვის უნდა დანიშნოს 3 საბჭოს წევრი. თითოეულ ასეთ მოსმენის საბჭოში უნდა შედიოდეს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, ერთი წევრი პრაქტიკოსი მედიკოსი და ერთი სპორტული მენეჯერი ან სპორტსმენი.

8.3.3 დანიშნულ წევრებს ადრე არ უნდა ჰქონოდათ შეხება ამ შემთხვევასთან. თითოეულმა დანიშნულმა წევრმა უნდა მოახსენოს თავმჯდომარეს ის გარემოება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს რომელიმე მხარის ინტერესებზე.

8.3.4 სპორტსმენს ან პირს შეუძლია წინასწარ უარი თქვას მოსმენაზე ანტიდოპინგის წესების დარღვევის აღიარებით, თანხმობით გაცემულ სანქციაზე კოდექსის მე-9 (ინდივიდუალური შედეგის დისკვალიფიკაცია) და მე-10 (სანქციები ცალკეული პირებისათვის) მუხლის თანახმად.

8.3.5 საქართველოს ანტიდოპინგურ დისციპლინარულ კომიტეტს სრული უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს მრჩეველად ექსპერტი საბჭოს დასახმარებლად.

8.3.6 საერთაშორისო ფედერაციას ან ეროვნულ ფედერაციას, თუ ის არ არის მოსმენის ერთ-ერთი მხარე, ასევე ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს), თუ ის არ არის მოსმენის ერთ-ერთი მხარე, ასევე მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (*WADA*) აქვთ უფლება დაესწრონ ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს მოსმენას დამკვირვებლის სტატუსით.

8.3.7 მოსმენები ამ პუნქტის თანახმად უნდა დასრულდეს სწრაფად 3 თვის ვადაში შედეგების მიღებიდან, როგორც ეს მოცემულია მე-7

პუნქტში (შედეგების მიღება) გამონაკლისის ჩათვლით.

8.3.8 თუ მხარეები არ შეთანხმდებიან სხვაზე, საქართველოს ანტიდოპინგურმა დისციპლინარულმა კომიტეტმა უნდა:

8.3.8.1 დაიწყოს მოსმენა შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში;

8.3.8.2 გასცეს წერილობითი დასკვნა შეტყობინებიდან 20 დღეში;

8.3.8.3 გასცეს წერილობითი ახსნა გადაწყვეტილებისათვის 30 დღის განმავლობაში შეტყობინებიდან.

8.3.9 მოსმენები ჩატარებული ღონისძიებებთან დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს დაჩქარებული წესით.

8.4 საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული კომიტეტის პროცედურები

8.4.1 ამ ანტი-დოპინგური წესების თანახმად საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული კომიტეტი და მისი მოსმენის კომიტეტი უფლებამოსილნი არიან დააწყსონ თავიანთი პროცედურები.

8.4.2 საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული კომიტეტის მოსმენები ღია უნდა იყოს საზოგადოებისათვის, ვიდრე იგი არ გადაწყვეტს რომ არსებობს განსაკუთრებული პირობები მოსმენა ჩატარდეს დახურულად.

8.4.3 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (seads) ფაქტი უნდა წარუდგინოს საქართველოს ანტიდოპინგურ დისციპლინარულ კომიტეტს და მისი მოთხოვნის შემთხვევაში ამაში დაეხმარება სპორტსმენის ეროვნული ფედერაცია.

8.4.4 პირს, რომლის მიმართაც წაყენებულია ბრალდება ანტი-დოპინგური წესების დარღვევაში უფლება აქვს უპასუხოს ამ ბრალდებას და შედეგად დაკისრებულ სანქციებს.

8.4.5 რომელიმე მხარის დაუსწრებლობა მოსმენაზე განიხილება, როგორც მოსმენის უფლებაზე უარის თქმა. ეს უფლება შენარჩუნდება დასაბუთებული მიზეზის წარმოდგენის შემთხვევაში.

8.4.6 თითოეულ მხარეს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს მოსმენაზე

საკუთარი ხარჯებით.

- 8.4.7 თითოეულ მხარეს უფლება აქვს თარჯიმანზე, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის მოსმენის საბჭო. თარჯიმნის მოვალეობას და ხარჯებს ადგენს მოსმენის საბჭო.
- 8.4.8 თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსმენაზე წარმოადგინოს დამამტკიცებელი საბუთი, ასევე მოწმის გამოძახების და დაკითხვის უფლება (მოსმენის საბჭოს თანხმობით ჩვენება შეიძლება იყოს ტელეფონით, წერილობით, ფაქსით თუ ელ-ფოსტით).
- 8.4.9 ანტი-დოპინგური წესების დარღვევის ფაქტი შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერი საიმედო მეთოდით. მოსმენის საბჭომ შეიძლება მიიღოს ნებისმიერი დამამტკიცებელი საბუთი, გაგონილის ჩათვლით, თუ ამას ჩათვლის მიზანმიმართულად და შესაფერისად.
- 8.4.10 მოსმენის საბჭომ შეიძლება გადადოს ან გააუქმოს მოსმენა.
- 8.4.11 მოსმენის საბჭომ მოსმენამდე რომელიმე მხარის მოთხოვნით ან თავისი გადაწყვეტილებით შეიძლება მოთხოვოს ერთ ან რამდენიმე მხარეს მოსმენაზე წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია, იმ ინფორმაციის ჩათვლით თუ რომელ მოწმეს აპირებს დაურეკოს ჩვენების მისაცემად და ამ მხარემ უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.
- 8.4.12 მოსმენის საბჭოს მოთხოვნის ან მითითების დაუკმაყოფილებლობა რომელიმე მხარის მიერ არ გამოიწვევს მოსმენის საბჭოს პროცედურების შეფერხებას და გავლენას იქონიებს გადაწყვეტილებაზე.
- 8.4.13 მოსმენა შეიძლება იყოს ჩაწერილი და საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) უნდა ფლობდეს მას.

8.5 საქართველოს ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილება

- 8.5.1 მოსმენის საბჭოს განხილვები მისი გადაწყვეტილებით უნდა იყოს კონფიდენციალური.
- 8.5.2 ყოველი უმნიშვნელო და შეუთანხმებელი გადაწყვეტილება უნდა

იყოს ახსნილი წერილობით. უმრავლესობის გადაწყვეტილება მიიღება მოსმენის საბჭოს გადაწყვეტილებად.

8.5.3 მოსმენის საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი, ხელმოწერილი და თარიღ დასმული. იმისათვის რომ დაჩქარდეს მოსმენის დასრულება, გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მიღებული წერილობითი ახსნის გარეშე დროის განრიგის შესაბამისად პუნქტის 8.3.8 თანახმად. ყოველი შემთხვევა, რომლის დროსაც დაკისრებული დისკვალიფიკაცია უქმდება პუნქტის 10.5.1 (დანაშაულის ან დაუდევრობის არ არსებობა) და პუნქტის 10.5.2 (უმნიშვნელო დანაშაული ან დაუდევრობა), გადაწყვეტილებაში უნდა იყოს ახსნილი, თუ რატომ მოხდა დისკვალიფიკაციის გაუქმება ან შემცირება.

8.5.4 მოსმენის საბჭოს გადაწყვეტილება გაეცნობა მოსმენის მხარეებს, მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (*WADA*), შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას (და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ეროვნულ ფედერაციას, თუ არ წარმოადგენს მხარეს მოსმენაზე) შეძლებისდაგვარად სწრაფად მოსმენის დასრულებიდან.

8.5.5 საქართველოს ანტი-დოპინგური მოსმენის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს გასაჩივრებული მე-13 პუნქტის (საჩივრები) შესაბამისად.

9 პუნქტი 9 ინდივიდუალური შედეგის ავტომატური დისკვალიფიკაცია

შეჯიბრზე ჩატარებული ტესტის დროს აღმოჩენილი ანტი-დოპინგური წესის დარღვევა ავტომატურად იწვევს ინდივიდუალური შედეგის დისკვალიფიკაციას, რომელიც მიღწეული იქნა ამ შეჯიბრზე, ყველა სანქციის გამოყენებით, მედლის, ქულების და პრიზის კონფისკაციის ჩათვლით.

10 პუნქტი 10 სანქციები ცალკეულ პირებზე

10.1 მიღწეული შედეგების დისკვალიფიკაცია ღონისძიებაზე,

რომელზედაც დაირღვა ანტი-დოპინგური წესები

10.1.1 ღონისძიების დროს ანტი-დოპინგური წესების დარღვევამ, ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად შეიძლება გამოიწვიოს სპორტსმენის მიერ ამ ღონისძიებაზე მიღწეული შედეგების დისკვალიფიკაცია, ყველა სანქციის გამოყენებით, მედლის, ქულების და პრიზის ჩამორთმევის ჩათვლით პუნქტის 10.1.2 შესაბამისად.

10.1.2 თუ სპორტსმენი ადგენს, რომ არ მიუძღვის ბრალი დარღვევაში, მისი ინდივიდუალური შედეგები სხვა შეჯიბრებზე არ იქნება დისკვალიფიცირებული მანამდე, სანამ არ აღმოჩნდება, რომ სხვა შეჯიბრებზე მიღწეული შედეგებიც განპირობებული იყო მის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევით.

10.2 დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდებისათვის
გარდა იმ ნივთიერებების არსებობის შემთხვევისა, რომლებიც განსაზღვრულია პუნქტში 10.3, დისკვალიფიკაცია კოდექსის 2.1 (აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა), 2.2 (აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება და გამოყენების მცდელობა) და 2.6 (აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობა) პუნქტების დარღვევისათვის იქნება:

პირველი დარღვევა: ორი (2) წლით დისკვალიფიკაცია.

მეორე დარღვევა: სამუდამო დისკვალიფიკაცია

მაგრამ სპორტსმენს, დისკვალიფიკაციის მიცემამდე შესაძლებლობა ეძლევა ორივე შემთხვევაში წარმოადგინოს დამამტკიცებელი საბუთი ამ დისკვალიფიკაციის გაუქმებისათვის ან შემცირებისათვის, როგორც ეს მოცემულია პუნქტში 10.5 (დისკვალიფიკაციის გაუქმება ან შემცირება გამონაკლისის შემთხვევებში).

10.3 განსაზღვრული ნივთიერებები

10.4 აკრძალულ ნივთიერებათა სია ადგენს განსაზღვრულ ნივთიერებებს, რომლებიც განსაკუთრებით ექვემდებარება ანტიდოპინგის წესების არა განზრახ დარღვევას მათი მედიკამენტებში ფართოდ გამოყენების გამო ან რომელთა როგორც ანტი-დოპინგური რეაქტივის გამოყენება ნაკლებად შესაძლებელია. თუ სპორტსმენი დაასაბუთებს, რომ ასეთი

ნივთიერება არ იყო გამოყენებული სპორტული შესრულების გასაძლიერებლად, დისკვალიფიკაცია განსაძრგრული პუნქტში 10.2 (დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდებისათვის) შეიცვლება შემდეგით:

პირველი დარღვევა: მინიმუმ გაფრთხილება და საყვედური და არავითარი დისკვალიფიკაცია და მაქსიმუმ ერთ (1) წლიანი დისკვალიფიკაცია.

მეორე დარღვევა: ორ (2) წლიანი დისკვალიფიკაცია.

მესამე დარღვევა: სამუდამო დისკვალიფიკაცია.

მაგრამ სპორტსმენს, დისკვალიფიკაციის მიცემამდე შესაძლებლობა ეძლევა ყველა შემთხვევაში წარმოადგინოს დამამტკიცებელი საბუთი ამ დისკვალიფიკაციის გაუქმებისათვის ან შემცირებისათვის, როგორც ეს მოცემულია პუნქტში 10.5 (დისკვალიფიკაციის გაუქმება ან შემცირება გამონაკლისის შემთხვევებში).

10.5 დისკვალიფიკაცია სხვა ანტი-დოპინგური წესების დარღვევისათვის

დისკვალიფიკაცია სხვა ანტი-დოპინგური წესების დარღვევისათვის არის შემდეგი:

10.5.1 კოდექსის 2. 3 პუნქტის (სინჯის აღებაზე უარის თქმა ან არ გამოცხადება) ან კოდექსის 2.5 პუნქტის (ჩარევა დოპინგის კონტროლისას) დარღვევა. გამოყენებული იქნება დისკვალიფიკაცია მოცემული პუნქტში 10.2 (დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდებისათვის).

10.5.2 კოდექსის 2.7 (ტრეფიკინგი) პუნქტის, კოდექსის 2.8 პუნქტის (აკრძალული ნივთიერებების გამოყენება და შენახვა) დარღვევა. მინიმუმ 4წლიანი დისკვალიფიკაცია, მაქსიმუმ- სამუდამო. არასრულწლოვანის ძალდატანებითი გარევა ჩაითვლება განსაკუთრებით მძიმე დარღვევად და თუ ჩადენილია სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ და ეხება სხვა ნივთიერებებს და არა განსაზღვრულ ნივთიერებებს, რომლებიც დადგენილია 10.3 პუნქტში (განსაზღვრული ნივთიერებები), გამოიწვევს დამხმარე პერსონალის სამუდამო დისკვალიფიკაციას. დამატებით იმ სტატიების დარღვევა, რომლებიც არღვევს არასპორტულ კანონებს და წესებს ეცნობება

შესაბამის ადმინისტრაციულ, პროფესიულ და სამართლებრივ ორგანოებს.

10.5.3 კოდექსის 2.4 მუხლის (ადგილ-მდებარეობა და გამოტოვებული ტესტი) დარღვევისათვის დისკვალიფიკაცია განისაზღვრება:

პირველი დარღვევა: მინიმუმ სამი (3) თვე და მაქსიმუმ ორი (2) წელი;

მეორე და შემდგომი დარღვევები: ორი (2) წლით დისკვალიფიკაცია

10.6 დისკვალიფიკაციის გაუქმება ან შემცირება განსაკუთრებული შემთხვევების დროს.

10.6.1 უდანაშაულობა ან დაუდევრობის არ არსებობა

თუ სპორტსმენი დაამტკიცებს რომ უდანაშაულოა ან დაუდევრობას არ ჰქონია ადგილი ანტიდოპინგის წესების დარღვევაში კოდექსის 2.1 მუხლის (აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა) და 2.2 მუხლის (აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება) შესაბამისად, მასზე დაკისრებული დისკვალიფიკაცია გაუქმდება. თუ სპორტსმენის ორგანიზმში აღმოჩნდება აკრძალული ნივთიერება, ან მისი მეტაბოლიტი ან მარკერი, მან ასევე უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და ახსნას თუ როგორ მოხვდა ეს ნივთიერება მის ორგანიზმში, რომ გაუქმდეს მასზე დაკისრებული დისკვალიფიკაცია.

იმ შემთხვევაში, თუ ეს მუხლი იქნება გამოყენებული და გაუქმდება დაკისრებული დისკვალიფიკაცია, ანტიდოპინგის წესის დარღვევა აღარ ჩაითვლება დარღვევად იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც დისკვალიფიკაცია დაკისრებულია რამდენიმე დარღვევისათვის პუნქტის 10.2 (დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებისა და მეთოდებისათვის), პუნქტის 10.3 (განსაზღვრული ნივთიერებები) და პუნქტის 10.6 (წესები მრავალჯერადი დარღვევისათვის) შესაბამისად.

10.6.2 უმნიშვნელო დანაშაული ან დაუდევრობა

ეს პუნქტი 10.5.2 მოქმედებს მხოლოდ ანტიდოპინგის წესების დარღვევის შემთხვევაზე კოდექსის 2.1 მუხლის (აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა), მუხლის 2.2 - აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება, მუხლის 2.3

სინჯის აღების გამოტოვება, მუხლის 2.8 აკრძალული ნივთიერების და მეთოდის ადმინისტრაცია შესაბამისად. თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, უდანაშაულოა ან დაუდევრობას არ ჰქონია ადგილი ანტიდოპინგის წესების დარღვევაში, შეიძლება შემცირდეს დაკისრებული დისკვალიფიკაციის ვადა, მაგრამ შემცირებული ვადა არ უნდა იყოს მინიმალური სადისკვალიფიკაციო პერიოდის ნახევარზე ნაკლები. თუ დისკვალიფიკაციის ვადა არის სამუდამო, მაშინ შემცირებული ვადა უნდა იყოს არა ნაკლებ 8 წლისა. თუ სპორტსმენის ორგანიზმში აღმოჩენილი იქნა აკრძალული ნივთიერება, მეთოდი ან მისი მეტაბოლიტი ან მარკერი კოდექსის 2.1 (აკრძალული ნივთიერების არსებობა) მუხლის დარღვევით, იმისათვის რომ შეუმცირდეს დაკისრებული სადისკვალიფიკაციო ვადა სპორტსმენმა უნდა ახსნას თუ რა გზით მოხვდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

10.6.3 სპორტსმენის დახმარება დამხმარე პერსონალის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგის წესების დარღვევის აღმოჩენაში

საქართველოს ანტიდოპინგურმა დისციპლინარულმა საბჭომ ან საქართველოს ანტიდოპინგურმა სააპელაციო საბჭომ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შეამციროს სადისკვალიფიკაციო ვადა თუ სპორტსმენი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ანტიდოპინგის ორგანიზაციას სხვა პირის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის აღმოჩენაში პუნქტი 2.6.2 (აკრძალულ ნივთიერებათა ფლობა დამხმარე პერსონალის მიერ), პუნქტი 2.7 (ტრაფიკინგი) ან პუნქტი 2.8 (ათლეტის ადმინისტრირება) შესაბამისად. შემცირებული ვადა არ უნდა იყოს ნაკლები მინიმალური სადისკვალიფიკაციო ვადის ნახევრისა. თუ დისკვალიფიკაციის ვადა არის სამუდამო, მაშინ შემცირებული ვადა ამ ნაწილის მიხედვით უნდა იყოს არა ნაკლებ 8 წლისა.

10.7 წესები გარკვეული შესაძლო მრავალჯერადი დარღვევებისათვის

10.7.1 სპორტსმენს დაეკისროს სანქციები ანტიდოპინგის წესების მეორე დარღვევისათვის პუნქტის 10.2 (დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებისა და მეთოდებისათვის), პუნქტის 10.3 (განსაზღვრული ნივთიერებები) და პუნქტის 10.4 (სანქციები სხვა ანტიდოპინგის

წესების დარღვევისათვის) შესაბამისად, შესაძლებელი იქნება, თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) მიერ გაგზავნილი შეტყობინება ანტიდოპინგის ერთი წესის დარღვევის შესახებ მიღებული აქვს სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელმაც დაარღვია მეორე ანტი-დოპინგური წესი ან თუ მას ჰქონდა საფუძვლიანი მცდელობა ეცნობებინა მისთვის ანტი-დოპინგური ერთი წესის დარღვევის შესახებ. თუ საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ვერ განახორციელა ეს, დარღვევა ჩაითვლება ერთ შემთხვევად და დაკისრებული სანქცია იქნება უფრო მკაცრი.

10.7.2 თუ ერთი და იმავე დოპინგის კონტროლის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ სპორტსმენმა დაარღვია ორივე ანტი-დოპინგური წესი 10.3 პუნქტის შესაბამისად *განსაზღვრული ნივთიერებები* და *აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები*, ჩაითვლება, რომ სპორტსმენმა დაარღვია მხოლოდ ერთი ანტი-დოპინგური წესი, მაგრამ სანქცია იქნება უფრო მკაცრი *აკრძალული ნივთიერებისა და მეთოდების* წესის დარღვევისათვის.

10.7.3 თუ აღმოჩნდება, რომ სპორტსმენმა დაარღვია ორი ცალკეული წესი, ერთი პუნქტის 10.3 (*განსაზღვრული ნივთიერებები*) და მეორე პუნქტის 10.2 (*სანქციები აკრძალული ნივთიერებისა და მეთოდებისათვის*) ან ანტიდოპინგის წესი 10.4.1 პუნქტის შესაბამისად, სანქცია მეორე დარღვევისათვის იქნება მინიმუმ 2 წლიანი და მაქსიმუმ 3 წლიანი დისკვალიფიკაცია. თუ რომელიმე სპორტსმენმა დაარღვია ანტიდოპინგის მესამე წესი პუნქტთან 10.3 (*განსაზღვრული ნივთიერებები*) კომბინაციის ჩათვლით და სხვა ანტი-დოპინგური წესები პუნქტის 10.2 (*სანქციები აკრძალული ნივთიერებისა და მეთოდებისათვის*) ან პუნქტის 10.4.1 შესაბამისად, *დაეკისრება სამუდამო დისკვალიფიკაცია*.

10.8 შეჯიბრის შედეგების დისკვალიფიკაცია გამომდინარე სინჯის აღებიდან

გარდა იმისა, რომ მოხდება შეჯიბრის შედეგის ავტომატური დისკვალიფიკაცია, სინჯის ანალიზის დადებითი პასუხიდან გამომდინარე თანახმად მე-9 პუნქტისა (ინდივიდუალური შედეგის ავტომატური დისკვალიფიკაცია), შეჯიბრის სხვა შედეგებიც,

რომლებიც მიღწეულ იქნა სპორტსმენის მიერ სინჯის დადებითი პასუხის შემდეგ (შეჯიბრზე ან შეჯიბრის გარეთ) ან თუ ადგილი ექნება ანტიდოპინგის სხვა წესების დარღვევას სანქციების დაკისრების დღიდან ან დისკვალიფიკაციის პერიოდში იქნება დისკვალიფიცირებული მედლების, ქულების და პრიზების კონფისკაციის ჩათვლით.

10.9 დისკვალიფიკაციის ძალაში შესვლა

10.9.1 დისკვალიფიკაციის პერიოდი იწყება მოსმენის გადაწყვეტილების დღიდან ან თუ მოსმენის უფლებაზე უარი ითქვა სპორტსმენის მიერ, მაშინ იმ დღიდან, როდესაც დისკვალიფიკაცია იქნება აღიარებული სპორტსმენის მხრიდან ან დაკისრებული სხვაგვარად.

10.9.2 დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდი (დაკისრებული თუ აღიარებული) ჩაითვლება მთლიანი დისკვალიფიკაციის ნაწილად.

10.9.3 თუ სამართლიანობა მოითხოვს, საქართველოს ანტიდოპინგის დისციპლინარულმა საბჭომ დისკვალიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღად შეიძლება დაადგინოს სინჯის აღების დღე, თუ მოსმენის პროცესი დაგვიანდა ან ადგილი ჰქონდა სხვა ხელისშემშლელ პირობებს, რომლებიც არ ეხება სპორტსმენს,

10.10 სტატუსი დისკვალიფიკაციის განმავლობაში

10.10.1 არცერთ დისკვალიფიცირებულ პირს დისკვალიფიკაციის პერიოდში არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ოლიმპიური გუნდის ან ეროვნული ფედერაციის გუნდის შემადგენლობაში მათ მიერ მოწყობილ შეჯიბრებში ან ღონისძიებებში, ეროვნული ფედერაციის ჩათვლით. გარდა ამისა ანტიდოპინგის ყველა წესის დარღვევისათვის, გარდა განსაზღვრული ნივთიერებებისა, მოცემული პუნქტში 10.3 (განსაზღვრული ნივთიერებები) ნაწილობრივ ან მთლიანად შეუწყდება ამ პირს ფინანსური დახმარება, რომელსაც იღებს ხელისმომწერის ან ხელისმომწერის წევრი ორგანიზაციიდან, ეროვნული ფედერაციის და საქართველოს მთავრობის ჩათვლით.

10.10.2 პირს, რომელსაც დაკისრებული აქვს დისკვალიფიკაცია 4 წელზე მეტი ხნით, 4 წლის შემდეგ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს

ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში, სპორტის სხვა სახეობაში და არა იმ სახეობაში, რომელშიც დაარღვია ანტიდოპინგის წესები და არა იმ ღონისძიებებში რომლებშიც ხდება შერჩევა ეროვნული ან საერთაშორისო შეჯიბრებისათვის.

10.11 ტესტირება აღდგენის წინ

10.11.1 იმისათვის რომ აღიდგინოს უფლებები დისკვალიფიკაციის დასრულებისას, სპორტსმენი დისკვალიფიკაციის პერიოდში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს), ეროვნული ფედერაციის ან რომელიმე ტესტირების იურისდიქციის მქონე ანტიდოპინგის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული შეჯიბრის გარეთა ტესტირებისათვის და მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია ადგილ-მდებარეობის შესახებ 5.4 პუნქტის (მოთხოვნა ადგილ-მდებარეობის შესახებ) თანახმად.

10.11.2 თუ სპორტსმენი დისკვალიფიკაციის შემდეგ წავა სპორტიდან და ამოღებული იქნება შეჯიბრის გარეთ სარეგისტრაციო ტესტირების სიიდან და შემდგომში მონიღომებს აღდგენას, მას არ ექნება აღდგენის უფლება მანამდე, ვიდრე არ შეატყობინებს ამის შესახებ საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს (სეადს), საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, შესაბამის ეროვნულ ფედერაციას და შესაბამის ანტიდოპინგის ორგანიზაციას და არ იქნება საგანი შეჯიბრის გარეთა ტესტირებისა იმ პერიოდის მანძილზე, როგორც ეს მოცემულია პუნქტში 5.5.2 ან მისი გადადგომის შემდეგ დარჩენილი დისკვალიფიკაციის პერიოდის მანძილზე. ამ პერიოდის მანძილზე სპორტსმენმა უნდა ჩაიტაროს შეჯიბრის გარეთა ტესტირება იმ რაოდენობით და სიხშირით, რომელსაც გადაწყვეტს საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს).

10.11.3 საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) პასუხისმგებელია შეჯიბრის გარეთა ტესტირების ჩატარებაზე რომელსაც მოითხოვს პუნქტი 10.10, მაგრამ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია რომელიმე ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტესტირებითაც

10.11.4 როდესაც დამთავრდება დისკვალიფიკაციის ვადა და თუ სპორტსმენი ასრულებდა პირობებს აღდგენისათვის, მაშინ სპორტსმენი ავტომატურად იქნება აღდგენილი და არ იქნება საჭირო არავითარი მიმართვა სპორტსმენის ან მისი ეროვნული ფედერაციის მხრიდან.

11 თავი 11 სანქციები სპორტის გუნდური სახეობისათვის

თუ ღონისძიების დროს ანტიდოპინგის წესების დარღვევაში შემჩნეულია გუნდის ერთზე მეტი წევრი მე-7-ე თავის (შედეგების მართვა) თანახმად, გუნდი შეიძლება გახდეს მიზნობრივი ტესტირების საგანი ღონისძიებაზე. თუ აღმოჩნდება რომ გუნდის ერთზე მეტმა წევრმა დაარღვია ანტი-დოპინგური წესები ღონისძიების დროს, გუნდს შეიძლება მიეცეს დისკვალიფიკაცია ან დაეკისროს სხვა სახის სანქცია. იმ სახეობაში, როდესაც არ არის გუნდური სპორტი, მაგრამ ჯილდოს იღებს გუნდი, გუნდის ერთზე მეტი წევრის მიერ ანტი-დოპინგური წესების დადღვევისათვის დისკვალიფიკაცია ან სხვა სანქცია დაეკისრება გუნდს, ამ წესების ან შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად.

12 თავი 12 სანქციები ეროვნული ფედერაციის მიმართ⁹

12.1 საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) ფინანსური და სხვა არაფინანსური დახმარება შეუწყდებათ მთლიანად ან ნაწილობრივ ფედერაციებს, რომლებიც არ ასრულებენ ან ვერ ასრულებენ ამ ანტიდოპინგის წესებს.

12.2 ეროვნული ფედერაციის წევრობა ან ცნობა საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) მიერ იქნება შეჩერებული ან უარყოფილი მანამდე, ვიდრე ეროვნული ფედერაციის ანტიდოპინგის წესები არ იქნება შესაბამისობაში ამ ანტიდოპინგურ წესებთან.

12.3 მე-12-ე თავის (სანქციები ეროვნული ფედერაციების მიმართ) შესაბამისად საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს პუნქტის 13.9 (საჩივრები

მე-12 თავის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებაზე) თანახმად.

13 თავი 13 საჩივრები

13.1 საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებები

გადაწყვეტილებები ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად მიღებული უნდა იყოს ამ თავის (13) თანახმად. ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში რჩება მანმადე, ვიდრე სააპელაციო ორგანიზაცია არ გადაწყვეტს სხვაგვარად.

13.2 საჩივრები ანტი-დოპინგური წესების დარღვევაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე

სანქციები და დისკვალიფიკაცია

გადაწყვეტილება, რომ ჩადენილი იყო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გადაწყვეტილება, გადაწყვეტილება, რომელიც აკისრებს სანქციებს ანტიდოპინგის წესების დარღვევისათვის, გადაწყვეტილება, რომ არ ყოფილა ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გადაწყვეტილება, რომ ანტიდოპინგის ორგანიზაციას არ გააჩნია საკმარისი უფლებამოსილება გადაწყვიტოს ანტი-დოპინგური წესების შესაძლო დარღვევა დააკისროს სანქციები, და გადაწყვეტილება მოსმენის შედეგად დისკვალიფიკაციის მიცემაზე ან პუნქტის 7.5 დარღვევაზე მიიღება პუნქტის 13.2 თანახმად.

13.2.1 თუ შემთხვევას ადგილი ჰქონდა საერთაშორისო დონისძიებაზე ან გარეულია საერთაშორისო დონის სპორტსმენი, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (“CAS”) იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც მისაღებია ამ სასამართლოსთვის.

13.2.2 თუ ანტი-დოპინგური წესები დაირღვა ეროვნული დონის სპორტსმენის მიერ და თუ ანტიდოპინგურმა სააგენტომ გადაწყვიტა რომ მას არ აქვს გასაჩივრების უფლება პუნქტის 13.2.1 შესაბამისად, მაშინ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს

⁹ კოდექსის მე-12-ე თავის თანახმად საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს შეუძლია სანქციები დააკისროს სხვა სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებიც შედიან მის იურისდიქციაში

სააპელაციო საბჭოში.

13.2.3 პირები გასაჩივრების უფლებით

პუნქტის 13.2.1 შესაბამის შემთხვევებში სპორტული არბიტრაჟის სასამართლოში (CAS) საჩივრის შეტანის უფლება აქვთ შემდეგ მხარეებს:

- ა) სპორტსმენებს ან პირებს, რომლებიც არიან საჩივრის საგანი;
- ბ) სხვა მხარეს, რომელიც არის მოსმენის ერთ-ერთი მხარე;
- გ) შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებს ან სხვა ანტიდოპინგის ფედერაციებს, ვისი წესების შესაბამისადაც გაიცა სანქციები;
- დ) საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ან საერთაშორისო პარალიმპიურ კომიტეტს, თუ გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ოლიმპიურ ან პარალიმპიურ თამაშებზე, სევე თუ გადაწყვეტილება გავლენას ახდენს სპორტსმენის უფლებაზე მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიურ ან პარალიმპიურ თამაშებში; და
- ე) მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA)

13.2.2 პუნქტის შესაბამის შემთხვევებში მხარეების შემადგენლობაში, რომელთაც შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ საქართველოს ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭოში უნდა შედიოდნენ:

- (1) სპორტსმენი ან პირი, რომელიც წარმოადგენს საჩივრის საგანს;
- (2) საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს);
- (3) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია;
- (4) ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი;
- (5) ეროვნული ანტიდოპინგის ორგანიზაცია; და
- (6) მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტო (WADA)

13.2.2 პუნქტის შესაბამის შემთხვევებში მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) და საერთაშორისო ფედერაციას შეუძლიათ გაასაჩივრონ საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში.

მიუხედავად აქ მოცემული ყველა პირობისა, ერთადერთი პირი, ვისაც შეუძლია გაასაჩივროს დაკისრებული დისკვალიფიკაცია არის სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელსაც მიეცა დისკვალიფიკაცია.

13.3 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭო

13.3.1 საქართველოს მთავრობამ ან ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა დანიშნოს საქართველოს დამოუკიდებელი ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭო.

13.3.2 საბჭოს თითოეული წევრი ინიშნება 4 წლით.

13.3.3 თუ საბჭოს წევრი გარდაიცვლება ან გადადგება, საქართველოს მთავრობა ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საბჭოს წევრად ნიშნავს დამოუკიდებელ პირს განთავისუფლებული ვაკანსიის შესავსებად. ეს პირი დაინიშნება იმ დარჩენილი ვადით, რომელიც ჰქონდა გადამდგარ ან გარდაცვლილ წევრს.

13.3.4 საბჭოს წევრი შეიძლება იყოს გადარჩეული.

13.4 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს იურისდიქცია

13.4.1 საქართველოს ანტიდოპინგურ სააპელაციო საბჭოს უფლება აქვს მხოლოდ მოისმინოს და გადაწყვიტოს საჩივართან დაკავშირებული ყველა საკითხი ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს ანტიდოპინგურ სააპელაციო საბჭოს უფლება აქვს განსაზღვროს სანქციები, რომლებიც შეიძლება გაიცეს ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად.

13.4.2 მისი ფუნქციების განხორციელებისას საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭო უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

13.4.3 საქართველოს ანტიდოპინგურ სააპელაციო საბჭოს აქვს ყველა საჭირო და გაუთვალისწინებელი უფლებამოსილება თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის.

13.4.4 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილება არ შეიძლება განხილულ ან გაუქმებულ იქნას რომელიმე სასამართლოს, არბიტრის, ტრიბუნალის ან სხვა მოსმენითი ორგანოს მიერ, გარდა სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოსი რაიმე შეუსაბამობის, მხედველობიდან გამორჩენის, შეცდომის ან წესებიდან გადახვევის გამო, რომელიც დადგენილია ამ ანტიდოპინგის წესებში

იმისათვის რომ არ დაირღვეს მართლმსაჯულება.¹⁰

13.5 მოსმენები საქართველოს ანტიდოპინგურ სააპელაციო საბჭოზე

13.5.1 ანტი-დოპინგური დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილმა პირმა უნდა წარადგინოს საჩივარი ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭოში ანტიდოპინგის დისციპლინარული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის ვადაში.

13.5.2 სააპელაციო საბჭო – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

13.5.3 დანიშნულ პირებს ამ საქმესთან ან მის რომელიმე მხარესთან ადრე არ უნდა ჰქონოდათ შეხება. კერძოდ არც ერთ წევრს ადრე არ უნდა მიეღო მონაწილეობა იგივე პირის საჩივრის განხილვაში, რომელიც ეხებოდა თერაპიულ გამოყენებას.

13.5.4 თუ თავმჯდომარის მიერ დანიშნულ პირს არ აქვს სურვილი ან არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოსმენაში, მაშინ თავმჯდომარემ ან უნდა ჩაანაცვლოს ან დანიშნოს ახალი წევრი სააპელაციო საბჭოდან.

13.5.5 საქართველოს ანტიდოპინგურ სააპელაციო საბჭოს თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად უფლება აქვს საჭიროების მიხედვით დანიშნოს ექსპერტი საბჭოს დასახმარებლად ან რჩევის მისაცემად.

13.5.6 საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს), როგორც ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს დაესწროს საქართველოს ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭოს მოსმენას.

13.5.7 საერთაშორისო ფედერაციას ან ეროვნულ ფედერაციას, თუ არ წარმოადგენს მოსმენის ერთ-ერთ მხარეს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს), თუ არ არის მოსმენის ერთ-ერთი მხარე და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) უფლება აქვს დაესწროს მოსმენას, როგორც დამკვირვებელი.

13.5.8 მოსმენები ამ პუნქტის შესაბამისად უნდა ჩატარდეს სწრაფად და ყველა შემთხვევაში სამი (3) თვის განმავლობაში ანტი-დოპინგური დისციპლინარული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან,

¹⁰ მართლმსაჯულების შეცდომა, როდესაც გადაწყვეტილება არასწორია, უსამართლო და არ ემყარება მ 50

გამონაკლისების მხედველობაში მიღებით.

13.5.9 ღონისძიებებთან დაკავშირებული მოსმენები უნდა ჩატარდეს დაჩქარებული წესით.

13.6 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს მოსმენები

13.6.1 ამ ანტი-დოპინგური წესების თანახმად საქართველოს ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭოს უფლება აქვს არეგულიროს თავისი პროცედურები.

13.6.2 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს მოსმენები ღია უნდა იყოს საზოგადოებისათვის, თუ საბჭო არ დაადგენს, რომ არსებობს განსაკუთრებული პირობები, რომლის გამოც მოსმენა უნდა იყოს დახურული.

13.6.3 მომჩივანმა უნდა წარმოადგინოს თავისი ვერსია და მოპასუხემ თავის მხრივ საპასუხოდ უნდა წარმოადგინოს თავისი ვერსია.

13.6.4 რომელიმე მხარის გამოუცხადებლობა მოსმენაზე განხილული იქნება, როგორც უარის თქმა მოსმენის უფლებაზე. ეს უფლება შეიძლება აღდგენილი იყოს დასბუთების საფუძველზე.

13.6.5 თითოეულ მხარეს უფლება აქვს დაესწროს მოსმენას თავისი ხარჯებით.

13.6.6 თითოეულ მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს თარჯიმანი, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის მოსმენის საბჭო. მოსმენის საბჭო ადგეს თარჯიმნის ხარჯებს და მოვალეობას.

13.6.7 მოსმენის თითოეულ მხარეს უფლება აქვს წარმოადგინოს მტკიცებულება, უფლების ჩათვლით დაურეკოს და დაკითხოს მოწმე (მოსმენის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, დათანხმდეს ჩვენების მიღებას ტელეფონით, წერილობით, ფაქსით, ელ-ფოსტით და ა.შ).

13.6.8 ანტიდოპინგის წესების დარღვევის ფაქტი უნდა დადგინდეს დასაყრდენი საშუალებებით, აღიარების ჩათვლით. მოსმენის საბჭომ შეიძლება მიიღოს ყველა მტკიცებულება, გაგონილის ჩათვლით, თუ ამას ჩათვლის მიზანშეწონილად და ღირებულად.

13.6.9 მოსმენის საბჭომ შეიძლება გადადოს ან შეწყვიტოს მოსმენა.

13.6.10 მოსმენის საბჭომ რომელიმე მხარის მოთხოვნით ან თავისი

გადაწყვეტილებით ერთ ან მეტ მხარეს შეიძლება მოთხოვოს წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, იმ ინფორმაციის ჩათვლით თუ რომელი მოწმის გამოძახებას აპირებენ და ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულ უნდა იქნას მხაეების მიერ.

13.6.11 რომელიმე მხარის მხრიდან სააპელაციოს საბჭოს მოთხოვნის ან მითითების დაუკმაყოფილებლობა არ გამოიწვევს მოსმენის შეწყვეტას, მაგრამ მხედველობაში იქნება მიჭებული გადაწყვეტილების მიღებისას.

13.6.12 მოსმენა შეიძლება იყოს ჩაწერილი და ჩანაწერები უნდა მიეწოდოს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (სეადს) და იყოს მის მიერ შენახული.

13.7 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებები

13.7.1 საქართველოს ანტი-დოპინგური განხილვები გადაწყვეტილების მისაღებად უნდა იყოს კონფიდენციალური.

13.7.2 ყოველი უმნიშვნელო ან განსხვავებული გადაწყვეტილება უნდა იყოს ჩანიშნული წერილობით. უმრავლესობის გადაწყვეტილება იქნება საქართველოს ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება.

13.7.3 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა, იყოს დათარიღებული და ხელმოწერილი. რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას დისკვალიფიკაციის გაუქმებაზე პუნქტის 10.5.1 (უდანაშაულობა ან დაუდევრობის არ ყოფნა) და პუნქტის 10.5.2 (უმნიშვნელო დანაშაული ან დაუდევრობა) უნდა იყოს ახსნილი საფუძველი დისკვალიფიკაციის გაუქმებისათვის. გადაწყვეტილება უნდა იყოს დადასტურებული თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ხელმოწერით.

13.7.4 საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს შეთანხმებული მოსმენის მხარეებთან და საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან (სეადს), თუ ის არ წარმოადგენს მოსმენის ერთ-ერთ მხარეს, რაც შეიძლება მალე გადაწყვეტილების მიღებიდან.

13.8 საჩივრები თერაპიული გამოყენების უფლების (TUE) მიცემის ან უარის გადაწყვეტილებაზე გადაწყვეტილებაზე

13.8.1 საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეაღს) გადაწყვეტილება თერაპიული გამოყენების უარზე, რომელიც არ არის მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ შეცვლილი, შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში საერთაშორისო დონის სპორტსმენის მიერ ან საქართველოს ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭოში, თუ სპორტსმენი არ არის საერთაშორისო დონის. თუ საქართველოს ანტი-დოპინგური სააპელაციო საბჭო შეცვლის გადაწყვეტილებას თერაპიული გამოყენების უარზე, საჩივარი შეიძლება იყოს გასაჩივრებული მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS). საქართველოს ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭომ ამ საჩივრის განხილვისას არ უნდა ჩართოს თერაპიული გამოყენების კომიტეტის (TUEC) წევრები.

13.8.2 მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) გადაწყვეტილება თერაპიული გამოყენების (TUE) ნებართვაზე ან უარზე სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს წესების შესაბამისად შეიძლება გასაჩივრდეს სპორტსმენის ან საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეაღს) მიერ მხოლოდ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში. (CAS).

13.9 საჩივრები მე-12-ე თავის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებზე

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეაღს) გადაწყვეტილებები მიღებული მე-12-ე თავის შესაბამისად (სანქციები ეროვნული სპორტული ფედერაციების მიმართ) შეიძლება გასაჩივრდეს ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ მხოლოდ მხოლოდ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS).

14 თავი 14 შეტყობინება

14.1 შეტყობინება თერაპიული გამოყენების შესახებ

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეაღს) სწრაფად უნდა შეატყობინოს სპორტსმენს თერაპიული გამოყენების ნებართვის შესახებ

(გარდა იმ სპორტსმენებისა, რომლებიც არ შედიან სარეგისტრაციო ტესტირების სიაში), შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას, ეროვნულ ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA).¹¹

14.2 შეტყობინება ტესტირების შესახებ

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა შეატყობინოს მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) კონკრეტული სპორტსმენის ადგილ-მდებარეობა. მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) ამ ინფორმაციას ხელმისაწვდომს გახდის სხვა ანტიდოპინგის ორგანიზაციებისათვის, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება ტესტირება ჩატარონ სპორტსმენს.

14.2.1 საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) წარუდგენს ანგარიშს ყველა შეჯიბრზე და შეჯიბრის გარეთ ჩატარებულ ტესტირებაზე.

14.2.2 ეს ინფორმაცია ყოველთვის უნდა იყოს მკაცრად კონფიდენციალური; უნდა იყოს გამოყენებული ტესტირების დაგეგმვის, კოორდინაციისა და ჩატარებისათვის და გაუქმდება, როდესაც საჭირო აღარ იქნება ამ მიზნებისათვის.

14.3 ანგარიში შედეგების მართვაზე

14.3.1 თუ ეროვნულმა ფედერაციამ მიიღო არასასურველი ანალიტიკური პასუხი მის ერთ-ერთ სპორტსმენზე, საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ამის შესახებ უნდა აცნობოს საერთაშორისო ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) არა უგვიანეს იმ ვადისა, რომელიც მითითებულია პუნქტში 7.2 (არასასურველი შედეგის წინასწარი განხილვა): სპორტსმენის სახელი, ქვეყანა, სპორტის სახეობა და სპორტის დისციპლინა, ტესტი ჩატარებული იყო შეჯიბრზე თუ შეჯიბრის გარეთ, სინჯის აღების თარიღი და ლაბორატორიის მიერ მიღებული ანალიტიკური შედეგი. ასევე უნდა აცნობოს ყველა ცლილების შესახებ სტატუსთან და

¹¹ ინფორმაცია თერაპიული გამოყენების ნებართვის შესახებ იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც არ შედიან ტესტირების რეგისტრაციის სიაში უნდა იყოს წარდგენილი იქ, სადაც მათ ჩატარდათ საშეჯიბრო ან არასაშეჯიბრო ტესტირება სხვა ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ.

¹¹ ეს ვრცელდება ყველა დარღვევაზე დაყ ევლა პირზე.

შედევებთან დაკავშირებით, მოსმენის და საჩივრების ჩათვლით.¹²

14.3.2 თუ სპორტსმენი მოითხოვს B სინჯის აღებას, საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ამ სინჯის პასუხი უნდა აცნობოს საერთაშორისო ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (*WADA*).

14.3.3 იმ შემთხვევაში, თუ დისკვალიფიკაცია გაუქმდება პუნქტის 10.5.1 (უდანაშაულობა ან დაუდევრობის არ არსებობა) ან პუნქტის 10.5.2 (უმნიშვნელო დანაშაული ან დაუდევრობა) შესაბამისად, საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) უნდა მიაწოდოს საერთაშორისო ფედერაციას და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (*WADA*) დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება.

14.4 ანგარიში კოდექსის თანახმად

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში თავისი ანტი-დოპინგური ღონისძიებების შესახებ კალენდარული წლის განმავლობაში და ასლი მიაწოდოს მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს (*WADA*).

15 თავი 15 სახალხოდ გაცხადება

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს), ეროვნულმა ანტიდოპინგის ორგანიზაციამ, სპორტსმენის ეროვნულმა ფედერაციამ, საქართველოს ანტიდოპინგურმა დისციპლინარულმა საბჭომ ან სხვა პირმა არ უნდა გახმაუროს იმ სპორტსმენის ვინაობა, ვისმა სინჯმაც აჩვენა არასასურველი ანალიტიკური შედეგი, ან იმ პირის ვინაობა, ვინც შესაძლოა დაარღვია ანტიდოპინგის წესები, მანმადე, ვიდრე ადმინისტრაციული განხილვა პუნქტების 7.3 და 7.4 შესაბამისად არ იქნება დასრულებული. არა უგვიანეს 20 დღის ვადისა, მას შემდეგ რაც მოსმენის შედეგად მე-8-ე პუნქტის (დისციპლინარული პროცედურები) შესაბამისად დადგინდა ანტი-დოპინგური წესების დარღვევა ან ეს მოსმენა შეჩერდა, საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტომ (სეადს)

სახალხოდ უნდა გამოაცხადოს ანტიდოპინგის შემთხვევის განმარტება. ამ განმარტებაში უნდა შედიოდეს სპორტსმენის სახელი და გადაწყვეტილების მიზეზები.

16 თავი 16 გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება

16.1 ამ წესების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება

ამ ანტი-დოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული რაიმე გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ანტიდოპინგის დისციპლინარულ საბჭოში, სპორტული არბიტრაჟის სასამართლოში ან ეროვნულ ანტიდოპინგურ სააპელაციო საბჭოში საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს იურისდიქციის ფარგლებში უნდა იყოს აღიარებული ყველა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის, ყველა მათი ფილიალი ორგანიზაციის მიერ, რომლებმაც უნდა განახორციელონ ყველა საჭირო ქმედება ამ შედეგების ეფექტურობისათვის.

16.2 სხვა ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღიარება

16.2.1 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს), ეროვნულმა ფედერაციებმა, საქართველოს ანტიდოპინგურმა დისციპლინარულმა საბჭომ და ანტიდოპინგურმა სააპელაციო საბჭომ უნდა აღიაროს გასაჩივრების შედეგად ხელისმომწერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კოდექსის შესაბამისად ხელისმომწერის იურისდიქციის ფარგლებში.

16.2.2 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) და ეროვნულმა ფედერაციებმა უნდა აღიარონ იმ სხვა ორგანოების იგივე გადაწყვეტილებები, რომელთაც ხელი არ აქვთ მოწერილი კოდექსზე, მაგრამ მათი წესები შეესაბამება კოდექსს.

17 თავი 17 შეზღუდვის სტატუსი

არ შეიძლება რაიმე საქმის აღძვრა სპორტსმენის ან სხვა პირის წინააღმდეგ ამ ანტიდოპინგის წესების შესაბამისად თუ ეს საქმე არ არის დაწყებული 8 წლის მანძილზე ანტი-დოპინგური წესების დარღვევიდან.

18 თავი 18 შესწორება და განმარტება

18.1 შესწორება

18.1.1 საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სეადს) ვალდებულია თვალყური ადევნოს ამ ანტიდოპინგის წესების განვითარებას და გაუმჯობესებას, კოდექსში ცვლილებების შეტანის ჩათვლით. ამ პროცესში მონაწილეობისათვის მოწვეული უნდა იყონ ეროვნული ფედერაციები და მონაწილეები.

18.1.2 საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) მიერ ამ წესებში შეტანილი ცვლილებები შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ უნდა იყოს დამტკიცებული საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (სეადს) ყოველწლიური ასამბლეის მიერ. საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (სეადს) ასეთი ცვლილებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეროვნულ ფედერაციებს.

18.1.3 შესწორებები, ვიდრე სხვაგვარად არ იქნება შესწორებული, ძალაში შევა და განხორციელდება ეროვნული ფედერაციების მიერ დამტკიცებიდან სამი თვის შემდეგ.

18.2 განმარტება

18.2.1 ამ წესებში გამოყენებული სათაურები არის მხოლოდ მოხერხებულობისათვის და არ მოიაზრება ამ ანტიდოპინგის არსის ნაწილად ან იმისათვის რომ გავლენა მოახდინოს იმ პირობების ენაზე, რომლებსაც ის ეხება.

18.2.2 შესავალი და დანართი 1 - განმარტებები მოიაზრება ამ ანტიდოპინგის წესების განუყოფელ ნაწილად.

18.2.3 ეს ანტიდოპინგის წესები შემუშავებულია კოდექსის პირობების თანახმად და უნდა იყოს განმარტებული იმ სახით, რომელიც შეესაბამება კოდექსის პირობებს. შენიშვნები, რომლებიც განმარტავს კოდექსის სხვა და სხვა პირობას უნდა იყოს გამოყენებული საჭიროების მიხედვით ამ ანტიდოპინგის წესების განსამარტავად.

19 თაფი 19 ინფორმაცია და შეტყობინება

19.1 ინფორმაცია

თითოეული პირი, რომელიც წარუდგენს ინფორმაციას მონაცემებისა და სამედიცინო ინფორმაციის ჩათვლით რომელიმე ორგანიზაციას ან პირს ამ წესების შესაბამისად, მოიაზრება, რომ არის თანახმა, რომ ამ პირმა ან ორგანიზაციამ ეს ინფორმაცია გამოიყენოს ამ ანტიდოპინგის წესების განხორციელებისათვის.

19.2 შეტყობინებები

19.2.1 ამ ანტიდოპინგურ წესებში ნახსენები ყველა შეტყობინება გამოყენებული იქნება ამ პუნქტის პირობების შესაბამისად.

19.2.2 საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს სარეგისტრაციო ტესტირების სიაში შეტანილმა თითოეულმა სპორტსმენმა უნდა მიაწოდოს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს ის მისამართი, რომელზედაც შეიძლება მას გაეგზავნოს შეტყობინება და მისამართის შეცვლის შემთხვევაში, ის ვალდებულია მიაწოდოს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს ყველა შეცვლილი დეტალი.

19.2.3 შეტყობინება საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს სარეგისტრაციო ტესტირების სიაში შეტანილ სპორტსმენს მიუვა იმ მისამართზე, რომელიც მან მიაწოდა საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს. ასეთი შეტყობინება უნდა იყოს გაგზავნილი რეგისტრირებული ფოსტით და მიღებული გაგზავნიდან სამი სამუშაო დღის შემდეგ.

19.2.4 შეტყობინება სხვა სპორტსმენს ან პირს გაეგზავნება რეგისტრირებული ფოსტით იმ მისამართზე, რომელიც მის მიერ არის გაცემული. ასეთი შეტყობინება უნდა იყოს მიღებული გაგზავნიდან სამი სამუშაო დღის შემდეგ.

19.2.5 საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ მიმღებთან სეთანხმების თანახმად შეტყობინება შეიძლება გააგზავნოს ფაქსით, ელ-ფოსტით ან ტელეფონით.

20 თავი 20 ძალაში შესვლა, კანონიერება და მოქმედი კანონი

20.1 ძალაში შესვლა

20.1.1 ეს ანტი-დოპინგური წესები ძალაში შედის და მიღებული და განხორციელებული იქნება საქართველოს ეროვნული ფედერაციების მიერ პუნქტის 1.1 შესაბამისად (გამოყენება ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ) 2008 წლის 1 ივნისიდან.

20.1.2 ეს ანტი-დოპინგური წესები არ იქნება გამოყენებული იმ შემთხვევებზე, რომლებიც განხორციელდა ამ ანტი-დოპინგური წესების ძალაში შესვლამდე. ადრე არსებული პროტესტები, საჩივრები, განცხადებები წარდგენილი ოლიმპიური კომიტეტის ან ეროვნული ფედერაციის მიმართ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს შექმნამდე შეიძლება დასრულდეს ამ ანტიდოპინგის წესების პოლიტიკის შესაბამისად და მათი შედეგები აღიარებული იქნება ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად. ასევე საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს შექმნამდე დაკისრებული სანქციები აღიარებული იქნება ამ ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად.

20.2 კანონიერება

20.2.1 გადახვევა ამ ანტიდოპინგის წესებიდან ან აქ ნახსენები პროცედურებიდან არ გამოიწვევს რომელიმე აღმოჩენის, გადაწყვეტილების ან შედეგის გაუქმებას მანამდე, ვიდრე არ მოიპოვება ამ აღმოჩენაში, გადაწყვეტილებაში ან შედეგში ეჭვის შემტანი მასალა.

20.2.2 თუ რომელიმე პუნქტი ამ წესებში რაიმე მიზეზით აღმოჩნდება უკანონო, განუხორციელებელი ან კანონდამრღვევი, ეს ანტი-დოპინგური წესები რჩება ძალაში ამ პუნქტისგან დამოუკიდებლად, რომელიც ამოღებული იქნება იმის გამო რომ მოიაზრება უკანონოდ, განუხორციელებლად ან კანონდამრღვევად.

20.2.3 ყველა კეთილსინდისიერად შესრულებული ქმედება, ინ პირის მიერ, რომელიც შემდგომში იქნა განთავისუფლებული მოვალეობის შესრულებიდან რაიმე დარღვევის გამო ჩაითვლება ისევე

კანონიერად, როგორც ამ პოზიციაზე მომუშავე სხვა პირის ქმედებები.

20.3 მოქმედი კანონი

ეს ანტი-დოპინგური წესები ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობას

განმარტებები

არასაურველი ანალიტიკური შედეგად: შეტყობინება ლაბორატორიიდან ან ტესტირების ჩატარებაზე უფლებამოსილი სხვა სტრუქტურიდან, აღებულ სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის (ენდოგენური ნივთიერების მომატებული რაოდენობის ჩათვლით) ან აკრძალული მეთოდის გამოყენების დამადასტურებელი ფაქტი.

ანტიდოპინგის ორგანიზაცია: ხელისმომწერი, რომელიც პასუხისმგებელია წესების მიღებაზე, დანერგვაზე, განხორციელებაზე ან დოპინგის კონტროლის პროცესის დროს მის მოქმედებაზე. ანტიდოპინგის ორგანიზაციებად მოიაზრებიან: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, სხვა წამყვანი სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც ატარებენ ტესტირებას მათ მიერ მოწეობილ დონისძიებებზე, მსოფლიოს ანტიდოპინგის ორგანიზაცია (WADA), საერთაშორისო ფედერაციები და ეროვნული ანტიდოპინგის ორგანიზაციები.

სპორტსმენი: ანტიდოპინგის კონტროლის მიზნებისათვის, პირი, რომელიც მონაწილეობს სპორტში საერთაშორისო დონეზე (დადგენილი თითოეული საერთაშორისო ფედერაციის მიერ) ან ეროვნულ დონეზე (დადგენილი თითოეული ეროვნული ფედერაციის მიერ) ან სხვა პირი, რომელიც მონაწილეობს უფრო დაბალ დონეზე, თუკი ასეა დადგენილი ეროვნული ანტიდოპინგის ორგანიზაციის მიერ. ანტიდოპინგის საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისათვის, ყოველი პირი, რომელიც მონაწილეობს სპორტში რომელიმე ხელისმომწერის, მთავრობის ან სხვა სპორტული ორგანიზაციების იურისდიქციის ფარგლებში, რომლებიც აღიარებენ კოდექსს.

სპორტსმენის დამხმარე პერსონალი: ნებისმიერი მწვრთნელი, მენეჯერი, აგენტი, გუნდის წევრი, ოფიციალი, სამედიცინო ან პარასამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ან წვრთნის, ამზადებს სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობისათვის.

მცდელობა: რაიმე ქმედების დაპირება, რაც გულისხმობს გარკვეული ნაბიჯის გადადგმას იმ ქმედების განხორციელებაში, რომელიც მიიყვანს ანტიდოპინგის

წესების დარღვევამდე. არ ჩაითვლება ანტიდოპინგის წესების დარღვევად, თუ სპორტსმენი უარს იტყვის მცდელობაზე, ვიდრე ამასს გაიგებს მესამე მხარე, რომელიც არ არის ჩარეული მცდელობაში.

სახ: სპორტული არბიტრაჟის სასმართლო

კოდექსი: მსოფლიოს ანტიდოპინგის კოდექსი, რომელიც პირველად მიღებულ იქნა მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს მიერ 2003 წლის 5 მარტს და მომდევნო შესწორებანი.

შეჯიბრი: ერთეული გარბენი, მატჩი, თამაში ან ერთეული სპორტული ასპარეზობა. მაგალითად, ოლიმპიური ფინალი 100 მეტრიან გარბენაში, მრავალეტაპიანი რბოლა ან ძალოსნური ასპარეზობა, სადაც პრიზები გადაეცემა დღიური ან დროის სხვა მონაკვეთის შედეგებისათვის. განსხვავება შეჯიბრსა და ღონისძიებას შორის დგინდება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.

ანტიდოპინგის წესების დარღვევის შედეგები: სპორტსმენის ან პირის მიერ ანტიდოპინგის წესების დარღვევამ შედეგად შეიძლება მოიტანოს (ა) სპორტსმენის შედეგების გაუქმება გარკვეულ შეჯიბრზე ან ღონისძიებაზე მედლების, ქულების, პრიზების კოფისკაციის ჩათვლით; (ბ) დისკვალიფიკაცია, სპორტსმენის ან სხვა პირის გარკვეული პერიოდით განთავისუფლება, შეჯიბრში ან ღონისძიებაში მონაწილეობის აკრძალვა ან დაფინანსების შეწყვეტა, როგორც ეს აღწერილია კოდექსის 10.9 პუნქტში (სტატუსი დისკვალიფიკაციის პერიოდში); და (გ) დროებითი დისკვალიფიკაცია, რაც ნიშნავს სპორტსმენის ან სხვა პირის ერთ რომელიმე ღონისძიებაზე არ დაშვებას მოსმენის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც ტარდება კოდექსის მე-8-ე თავის შესაბამისად (უფლება სამართლიან მოსმენაზე).

დისკვალიფიკაცია: იხილეთ ანტიდოპინგის წესების შედეგები.

დოპინგის კონტროლი: პროცესი, რომელშიც შედის ტესტირების განრიგი, სინჯების აღება და დამუშავება, ლაბორატორიული ანალიზი, შედეგების მართვა, და საჩივრები.

ღონისძიება: ცალკეული შეჯიბრების ერთობლიობა ჩატარებული ერთი ორგანიზაციის მიერ. (მაგ. ოლიმპიური თამაშები, ფინას მსოპლიო პირველობა ან ფენ ამერიკული თამაშები)

საშეჯიბრო: სხვაობის განსაზღვრის შესაბამისად საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირებებს შორის, ვიდრე სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ფედერაციის ან სხვა შესაბამისი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის წესებით, საშეჯიბრო ტესტირება ეწოდება, როდესაც სპორტსმენი შეირჩევა ტესტირებისათვის რომელიმე გარკვეულ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

დამოუკიდებელ დამკვირვებელთა პროგრამა: დამკვირვებელთა გუნდი მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტოს ზედამხედველობით რომელიც აკვირდება დოპინგის კონტროლის პროცესს გარკვეულ ღონისძიებაზე და აკეთებს ანგარიშს დაკვირვებაზე. თუ ტესტირებას ატარებს მსოფლიოს ანტიდოპინგის სააგენტო, დამკვირვებლებს ზედამხედველობას გაუწევს დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

საერთაშორისო ღონისძიება: ღონისძიება, რომელიც მოწყობილია და იმართება ან ნიშნავს ღონისძიების ორგანიზატორს, ასეთებია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაცია, ღონისძიებების ორგანიზატორი წამყვანი ორგანიზაციები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

საერთაშორისო დონის სპორტსმენი: ერთი ან რამდენიმე საერთაშორისო ფედერაციის სარეგისტრაციო ტესტირების სიაში შეყვანილი სპორტსმენი

საერთაშორისო სტანდარტი: მსოფლიო ანტიდოპინგის სააგენტოს მიერ მიღებული სტანდარტი კოდექსის ხელშეწყობისათვის. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (ალტერნატიული სტანდარტის, პრაქტიკის, პროცედურის საწინააღმდეგოდ) უნდა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი იმის განსაზღვრისათვის, იყო თუ არა პროცედურა ჩატარებული სწორად.

ღონისძიების ორგანიზატორი წამყვანი ორგანიზაციები: ეს ტერმინი ეხება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საკონტინენტო ასოციაციებს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მართავენ საკონტინენტო, რეგიონალურ და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებს.

მარკერი: ნაერთი, ნაერთთა ჯგუფი, ბიოლოგიური პარამეტრები, რომელიც აჩვენებს აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენებას.

მეტაბოლიტი: ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ბიოტრანსფორმაციის პროცესის შედეგად.

არასრულწლოვანი: ადამიანი, რომელსაც არ მიუღწევია იმ ასაკამდე, რომელიც მისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება უფროს ასაკად.

ხადს (ხედას): საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტო

საქართველოს ანტიდოპინგის სააპელაციო საბჭო: საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს მიერ დანიშნული საბჭო, რომელიც განიხილავს საჩივრებს საქართველოს ანტიდოპინგის დისციპლინარული საბჭოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

საქართველოს ანტიდოპინგის დისციპლინარული საბჭო: საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს მიერ დანიშნული საბჭო, რომელიც განიხილავს და ადგენს შესაძლო ანტიდოპინგის წესების დარღვევებს.

ეროვნული ანტიდოპინგის ორგანიზაცია: იურიდიული პირი, რომელიც ინიშნება თითოეულ ქვეყანაში და აქვს უფლებამოსილება მიიღოს და განახორციელოს ანტიდოპინგის წესები, უხელმძღვანელოს სინჯების აღებას, ანალიზის შედეგებს, ჩაატაროს მოსმენები, ეს ყველაფერი ეროვნულ დონეზე. თუ დანიშნვა არ მოხდა კომპეტენტური მმართველი ორგანოების მიერ, იურიდიული პირი იქნება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მის მიერ დანიშნული.

ეროვნული დონისძიება: დონისძიება, რომელშიც მონაწილეობენ საერთაშორისო დონის ან ეროვნული დონის სპორტსმენები, მაგრამ არ არის საერთაშორისო დონისძიება.

ეროვნული დონის სპორტსმენი: არა საერთაშორისო დონის სპორტსმენი, რომელიც საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს მიერ შეყვანილია საქართველოს ანტიდოპინგის სააგენტოს სარეგისტრაციო ტესტირების სიაში.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი: ორგანიზაცია აღიარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. ტერმინი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ასევე გულისხმობს ეროვნულ სპორტულ კონფედერაციას, იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული სპორტული კონფედერაციას აქვს მოვალეობები ტიპური ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისატვის.

ეროვნული სპორტული ფედერაცია: ეროვნული, რაიონული ან ტერიტორიული ორგანო, რომელიც მართავს სპორტს საქართველოში ან მის ნაწილში და მის ფილიალებს, კლუბებს, გუნდებს, ასოციაციებს და ლიგებს.

ტესტირება წინასწარი შეტყობინების გარეშე: დოპინგის კონტროლი, რომელიც ტარდება სპორტსმენის გაუფრთხილებლად და როდესაც სპორტსმენი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება სინჯის აღებამდე.

ეოკ (NOC) გუნდი: საქართველოს ოლიმპიური გუნდი, რომელიც არჩეულია საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

უდანაშაულობა ან დაუდევრობის არ არსებობა: სპორტსმენი ასაბუთებს, რომ არ იცოდა ან არ შეეძლო სცოდნოდა ან დაეჭვებულყო იმაზე რომ გამოიყენა აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი.

უმნიშვნელო დანაშაული ან დაუდევრობა: სპორტსმენი ასაბუთებს, რომ მისი დანაშაული ან დაუდევრობა ანტიდოპინგის წესების დარღვევასთან დაკავშირებით ყველა კრიტერიუმის და პირობის გათვალისწინებით იყო უმნიშვნელო.

არასაშეჯიბრო: დოპინგის კონტროლი, რომელიც ტარდება არასაშეჯიბრო პერიოდში.

მონაწილე: სპორტსმენი ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალი.

პირი: ადამიანი, ორგანიზაცია ან ორგანო.

ფლობა: ფაქტიური ფიზიკური ფლობა ან კონსტრუქციული ფლობა (რომელიც შეიძლება აღმოჩენილ იქნას შენობაში ან ნივთებში, რომელიც ეკუთვნის ამ პირს), მაგრამ თუ პირს არ აქვს კონტროლი არსებულ აკრძალულ ნივთიერებაზე ან შენობაზე, სადაც ეს აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი არის, ეს არ ჩაითვლება, აკრძალულ ნივთიერების ან მეთოდის ფლობად. კონსტრუქციულ ფლობად ითვლება, თუ პირმა იცოდა აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის არსებობა და აკონტროლებდა მას. არ ჩაითვლება ანტი-დოპინგური წესების დარღვევად და აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობად, თუ პირი უარს იტყვის აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობაზე მანამდე, ვიდრე მიიღებს შეტყობინებას ანტი-დოპინგური წესების დარღვევაზე.

აკრძალული სია: მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს სია, რომელიც განსაზღვრავს აკრძალულ ნივთიერებებს და მეთოდებს.

აკრძალული მეთოდი: რაიმე მეთოდი, აღწერილი სიაში.

აკრძალული ნივთიერება: რაიმე ნივთიერება, აღწერილი სიაში.

დროებითი დისკვალიფიკაცია: იხილეთ ანტიდოპინგის წესების დარღვევის შედეგები.

სახალხოდ გახმაურება ან გამოცხადება: ინფორმაციის გავრცელება ან მიწოდება საზოგადოებისათვის ან პირებისათვის გარდა იმ პირებისა ვისაც ეგზავნება ინფორმაცია კოდექსის მე-14-ე მუხლის (კონფიდენციალურობა და ანგარიში) შესაბამისად.

სარეგისტრაციო ტესტირების სია: თითოეული საერთაშორისო ფედერაციის და ეროვნული ანტიდოპინგის ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული მაღალი დონის სპორტსმენი, რომელიც არის საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების ობიექტი როგორც საერთაშორისო ფედერაციის და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების განაწილების სიის ნაწილი.

სინჯი/ნიმუში: დოპინგის კონტროლისათვის აღებული ბიოლოგიური მასალა.

ხელისმომწერნი: ის ორგანოები, რომლებიც ხელს აწერენ კოდექსს და თანხმდებიან იმოქმედონ კოდექსის შესაბამისად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო ფედერაციების, საერთაშორისო პარალიმპური კომიტეტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული პარალიმპური კომიტეტის, წამყვანი რონისძიებების ორგანიზატორი ორგანიზაციების, ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციების და მსოფლიოს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ჩათვლით.

ჩარევა: ცვლილების შეტანა სხვა მიზნებისათვის ან არასწორი მეთოდის გამოყენებით; ზეგავლენის მოხდენა მსვლელობის არასწორი გზით წარმართვისათვის; უხეშად ჩარევა შედეგების შეცვლისათვის ან პროცედურების ნორმალურად ჩატარებისათვის ხელის შეშლა.

მიზნობრივი ტესტირება: სპორტსმენების შერჩევა ტესტირებისათვის განსაზღვრულ დროს, სადაც ხდება სპორტსმენების ან სპორტსმენტა ჯგუფის არარენდომული პრინციპით ტესტირება.

სპორტის გუნდური სახეობა: სპორტის სახეობა, რომელშიც დონისძიების დროს დაშვებულია მოთამაშეთა შეცვლა.

ტესტირება: დოპინგის კონტროლის პროცესის ნაწილი ტესტის განრიგის დაგეგმვის ჩათვლით, ნიმუშის დამუშავება და მისი ტრანსპორტირება ლაბორატორიაში.

ტრეფიკინგი: აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გაყიდვა, მიცემა, ადმინისტრირება, ტრანსპორტირება, გავზავნა, მიტანა და განაწილება სპორტსმენისათვის უშუალოდ ან სხვა სხვა პირის საშუალებით,

გამონაკლისია გამოწერა, დანიშნვა, გაყიდვა ან განაწილება კანონიერი თერაპიული გამოყენებისათვის.

TUE: გამონაკლისი თერაპიული გამოყენებისათვის

TUEC: თერაპიული გამოყენების კომიტეტი

გამოყენება: აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება, მიღება ინგესტიურად, ინექცია ან მოხმარება რაიმე საშუალებით.

WADA: მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტო, რომლის დაარსება მოხდა შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად ლოზანაში 1999 წლის 10 ნოემბერს და ყველა ეროვნული ანტიდოპინგის ორგანიზაცია ექვემდებარება მას ხელშეკრულების საფუძველზე.